

აღამინის უფლებების მდგრადიობა საქართველოში, 2020





ადამიანის უფლებების
მდგრადი მოვლენების
საქართველო, 2020

თბილისი, 2021

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრი



ავტორი:

ლაზარე ჭიბლაძე

რედაქტორი:

ალექს ცეიტიშვილი, ნინო ტლაშვილი

ფოტო ანგარიშის ყდაზე: ნინო ჩიჩუა/ნეტგაზეთი

არასამთავრობო ორგანიზაცია **ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)** დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება ბატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადაწყვეტილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქალების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობო კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. განმანათვის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ-კორტალი ადამიანის უფლებების შესახებ: www.humanrights.ge

ვებ-საიტი: hrc.ge

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული ნეტურალური დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.



National Endowment
for Democracy
Supporting freedom around the world

სარჩევი

ანგარიშის შესახებ.....	5
შესავალი.....	6
პოზიტიური ცვლილებები კანონმდებლობაში.....	7
ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში	7
ცვლილებები საარჩევო კანონმდებლობაში	9
ბავშვის უფლებათა კოდექსი.....	10
ცვლილებები შრომით კანონმდებლობაში.....	11
კანონის და ადამიანის უფლებები.....	13
საგანგებო მდგრადირობა	13
ადამიანის უფლებები კანონის პირობებში	16
ჩანორთობის უფლება კანონის პირობებში	17
სასამართლო ხელისუფლება	19
სასამართლო ცისხეამ კანონის მართველი კრიზისის პირობებში	20
პოლიტიკური დეპის ნიშვნები.....	21
2020 წლის საკანლამანო არჩევები	23
წინასაარჩევო გარემოს შეფასება	23
კანონის პირობები ჩატარებული არჩევები	24
საორთაშორისო სადამკირვებლო ორგანიზაციების შეფასება.....	25
შეკრებისა და მანივესტაციის თავისუფლება	27
2020 წლის 8 ნოემბრის ეპის	28
ე. კომენდაციის სათი და გამოხატვის თავისუფლება	29
თანასწორობის უფლება	31
ეპთა მიმართ და ორანში ქალადობა	31
გვერდები.....	33
LGBT+ ადამიანების უფლებები მდგრადირობა	34

რელიგიის თავისუფლება	35
ეროვნული უმცირესობები	36
კონფლიქტთ დაზარალებულ პირთა უფლებები	38
პაროტოციური დაცვებულებები	39
მაყიაჩარებელი	40
კომუნიკაციების კომისიის საქმიანობა	41
დეზიფირირებული და ფიც ნიუსე	42
თბილისის მარის გალაპარება მაღისის წინააღმდეგ	43
ურნალისტური საქმიანობის ხელშეკრულება	43
ურნალისტურის ფიზიკური შეურაცხებულება	44
მუქარა უშხო სახელმწიფოდან	45
ურნალისტთა ფარული მიზურადება	45
ცენზურა	46
მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები	47
კარტოგრაფიების საქმე	47
გიორგი შეკარაშვილის საქმე	47
თამარ ბაჩალიაშვილის საქმე	48
თამირლან გარალიკვაზვილის საქმე	49
საერთაშორისო ორგანიზაციების საქართველოში ადამიანის უფლებების მდგრადირების შესახებ	50



ანგარიშის შესახებ

ანგარიში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2020 წელს. ტრადიციულად, მასში შესულია ყველა ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხი, რამაც გავლენა იქონია ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტზე. ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობებს და შეფასებებს.

ანგარიშის მიზანია, შეაფასოს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების ქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, მათი რეაგირების ხარისხი უფლებების დარღვევებზე, მართლმსაჯულების ეფექტიანობა და საკანონმდებლო თუ სისტემური ცვლილებები, რაც მიმართული უნდა იყოს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დამკიდრებისკენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წლევანდელი ანგარიშის შინაარსი მნიშვნელოვანილად განსაზღვრა საქართველოსა და მსოფლიოში ახალი კორონავირუსის Covid-19 გავრცელების გამო შექმნილმა უპრეცედენტო კრიზისმა და მასთან საბრძოლველად გამოყენებულმა სხვადასხვა ზომებმა, რომელმაც საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე იქონია გავლენა. თავის მხრივ, პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე. შესაბამისად, ანგარიში მოვლენათა უმრავლესობა სწორედ პანდემიისა და მისი მძიმე შედეგების გათვალისწინებით არის მიმოხილული.

ანგარიში მოიცავს საკვანძო მიმართულებებს ადამიანის უფლებათა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: კანონის წინაშე თანასწორობა, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება, სასამართლო სისტემა, ადამიანის უფლებები პენიტენციურ დაწესებულებებში, ოკუპაცია და მისი შედეგები ადამიანის უფლებრივ მდგომარეობაზე, შრომის უფლება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები, მედიის თავისუფლების საკითხები, შშმ პირთა მდგომარეობა, LGBTQ+ პირთა უფლებები, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის - ოჯახში ძალადობის ფაქტები, საარჩევნო სისტემა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ა.შ.

შესავალი

2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემია იყო, რომელმაც კიდევ უფრო გააშიშვლა ქვეყანაში არსებული სამართლებრივი, პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რასაც ნეგატიური გავლენა აქვს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტზე. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ცხადყო ქართული ჯანდაცვის სისტემის ნაკლოვანებები, ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების სოციალური მოწყვლადობისა და ეკონომიკური სიღარების მასშტაბები, სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტე დოვლათის გადანაწილებისა და სოციალური გარანტიების შექმნის კუთხით, კანონის წინაშე თანასწორობისა და ხელისუფლების პოლიტიკის არაინკლუზიურობა, უმცირესობათა უფლებების სისტემური უგულვებელყოფა, მართლმსაჭილების სისტემის ხარვეზები და ა.შ.

2020 წლის 31 ოქტომბერს პანდემიის პირობებში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა და ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო დააძიმა. ქართული საარჩევნო სისტემის ხარვეზებმა, პოლარიზებულმა პოლიტიკურმა გარემომ და მედიამ, გაუარესებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ მნიშვნელოვნად დააზარალა ქართული დემოკრატია და პოლიტიკური პროცესების მძიმე კრიზისში შესვლას შეუწყო ხელი.

2020 წელს, პანდემიის პირობებში, კიდევ უფრო პრობლემური იყო სასამართლოების დაკომპლექტების საკითხი, მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გაუმჯობესებალობა და პროცესისადმი საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტი.

შევრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვის მხრივ, 2020 წელსაც არაერთმა სისტემურმა პრობლემამ იჩინა თავი. საპოლიციო ძალების მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების დაშლა ხელისუფლებისთვის „პრობლემის მოგვარების“ ჩვეულ გზად იქცა. პოლიტიკური დევნა და პოლიტიკური პატიმრობა, წლების შემდეგ კვლავ იქცა ქართული ხელისუფლების კრიტიკის ერთ-ერთ მიზეზად. პოლარიზებულ მედიაგარემოში გაიზარდა ინფორმაციის მანიპულირებისა და რადიკალიზაციის საფრთხეები. როგორც სახელისუფლებო, ისე მკვეთრად ოპონიციური მედიასაშუალებებისთვის სიძულვილის ენა, უხამსობა და ჟურნალისტური ეთიკის იგნორირება ყოველდღიური საქმიანობის ნაწილად იქცა.

პანდემიით შექმნილი კრიზისის მიუხედავად, მზარდია რუსეთის ფედერაციისა და მისი საოკუპაციო ძალების გავლენა როგორც საქართველოზე, ისე რეგიონის სხვა ქვეყნებზე, რაც მუდმივად ასუსტებს სტაბილურობის განცდას, რეგიონში

არსებული აქტიური და გაყინული კონფლიქტების გათვალისწინებით, უმწვავესია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების სისტემური და უხეში დარღვევის ფაქტები, პანდემიის პირობებში უკანონო ბორდერიზაციის გაგრძელება, ოკუპირებული რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრიდან ადამიანების უკანონო გატაცება და ა.შ.

ქვეყანაში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება სხვადასხვა უმცირესობათა უფლებების დაცვა, თანასწორობის იდეის დანერგვა და იმპლემენტაცია რეალურ ცხოვრებაში. განსაკუთრებულ მოწყვლად ჰქონდა ლგბტ+ ადამიანები, რომელთა უფლებები 2020 წელსაც არ გაუმჯობესებულა. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული პოტიტური საკანონმდებლო ცვლილებებისა და დანაშაულზე რეაგირების გაზრდილი მაჩვენებლისა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა კვლავ დიდ გამოწვევად რჩება. კვლავ მძიმეა შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა არც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მდგომარეობა და ისინი კვლავ ხდებიან სისტემური დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის მსხვერპლი. არსებული სისტემური პრობლემებისა და პანდემიით გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, იმ ფონზე, როცა ხელისუფლების შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმაც ყურადღების მიღმა ტოვებს არადომინანტ და ისედაც მარგინალიზებულ ჰქონდებს, სავარაუდოდ, კრიზისის მავნე შედეგებს მძიმე და გრძელვადიანი შედეგი ექნება თანასწორობის პოლიტიკის გატარების კუთხითაც.

◆ პოზიტიური ცვლილებები პანონადებალერაში

ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა სამართლიანი საარჩევნო სისტემის დამკვიდრება. ხელისუფლებაში მოსვლამდე პოლიტიკური პარტიები მუდმივად აპელირებდნენ სისტემის ხარვეზებბე, მაგრამ ძალაუფლებაში მოპოვების შემდეგ, არცერთ მათგანს სურდა მათ ხელთ არსებული ბერკეტების ხელიდან გამვება, რაც პოლიტიკურ ელიტიმ და სოციალური გარიყულობის მუდმივ პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებდა. შედეგად, საქართველოში, არჩევნების გზით ხალხის ნამდვილი ნების ზუსტი გამოსახვა ყოველთვის კითხვის ქვეშ იდგა.

საქართველოში არსებული შერეული საარჩევნო სისტემის მიმართ კრიზისის ძირითადი არსი სწორედ ამ მოდელის ფარგლებში მანდატების გადანაწილების

წესი იყო, რის შედეგადაც, ხელისუფლებაში მოსულ ძალას იმაზე მეტი საპარლამენტო მანდატი ხვდებოდა, ვიდრე მას ხალხის რეალური მხარდაჭერა ჰქონდა, ხოლო სხვა პარტიებს - პირიქით.

2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში განვითარებული მოვლენებისა და მასშტაბური საპროტესტო აქციებისას¹, პროპორციული არჩევნები კვლავ აქტიურად დაუბრუნდა პოლიტიკური მოთხოვნების დღის წესრიგს. ამჟერად, ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერითა და მთელი ოპოზიციური სპექტრის ერთიანი პოზიციით, საზოგადოებრივი ზეწოლის ფონზე, მმართველმა პარტიამ გასცა დაპირება, რომ 2020 წლის არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით, ნულოვანი ბარიერის პირობებში ჩატარდებოდა². თუმცა, იდეა საპარლამენტო განხილვებისას მმართველმა გუნდმა ჩააგდო³. მმართველი გუნდის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა ვერც ოპოზიციური პარტიების მიერ შეთავაზებულმა ე.წ. გერმანული მოდელით არჩევნების ჩატარების იდეამ⁴, რასაც ქუჩის აქციების ახალი ტალღა მოჰყვა.

საარჩევნო სისტემის რეფორმა, მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერით, სამოქალაქო სექტორისა და სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის მოთხოვნით და საერთაშორისო პარტიიორების აქტიური ჩართულობით, საბოლოოდ მაინც განხორციელდა. საქართველოს პარლამენტმა, 2020 წლის 29 ივნისს, მესამე მოსმენით, მხარი დაუჭირა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტებს⁵.

ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების წესი. შედეგად, 2020 წლის 31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით (120 პროპორციული, 30 მაჟორიტარული) და 1%-იანი ბარიერით ჩატარდა. დაწესდა 40%-იანი ჩამკეტი მექანიზმიც. კერძოდ, ცვლილების თანახმად, პარტიას, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული სისტემით 40.54%-ზე ნაკლებ მხარდაჭერას მიიღებდა, წაერთვა მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირების შესაძლებლობა.

კონსტიტუციური ცვლილებებით განისაზღვრა საარჩევნო ბლოკების საკითხიც,

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალიტიკური დოკუმენტი 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით: <https://bit.ly/3li8lhj>.

² იხ. ივანიშვილის საერთებიო მიმართვა: <https://bit.ly/31qOsgb>.

³ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3qICAJ5>.

⁴ ოპოზიტორმა პარტიებმა ე.წ. გერმანულ მოდელზე მუშაობა 2019 წლის ნოემბერში მას შემდეგ დაიწყეს. რაც 14 ნოემბერს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემის სრულად პროპორციულით ჩანაცვლების საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი ჩააგდეს.

⁵ იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/255380>.

რომლის მიხედვითაც, განისაზღვრა პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად, პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილდება იმ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული მაჩვენებელი 1 პროცენტისა და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს მაინც შეადგენს. ცვლილებების თანახმად, ასევე განისაზღვრა გადაუნაწილებელი მანდატების განაწილება უდიდესი ნაშთის მქონე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებზე.

თავის მხრივ, მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა რამდენიმე კანონში შესატანი შესწორებების საჭიროება წარმოშვა, რის გამოც ცვლილებები შევიდა საქართველოს „საარჩევნო კოდექსში“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში, ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაზე

ქართული საარჩევნო კანონმდებლობის ხარვეზები, წლების განმავლობაში, მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფისთვის. ამდენად, მასში ცვლილებების შეტანა, წლების განმავლობაში რჩებოდა პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა. საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა 2020 წელს კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა.

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 2 ივნისს მესამე მოსმენით დაამტკიცა „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული ორგანული კანონის პროექტი - „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“⁶. ცვლილებების დიდი ნაწილი დაეფუძნა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს⁷.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები სრულად ვერ პასუხობს ამ მიმართულებით არსებულ ყველა გამოწვევას და კვლავ საჭიროებს შემდგომ დახვეწას, მისი დიდი ნაწილი უნდა შეფასდეს დადებითად და წინ გადადგმულ ნაბიჯად ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე.

ცვლილებების შედეგად, დაკონკრეტდა არჩევნებში მონაწილეთა ხმების ცნება,

⁶ იხ. საქართველოს ორგანული კანინი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ. <https://bit.ly/2D55Duk>.

⁷ იხ. Office for Democratic Institutions and Human Rights. GEORGIA PRESIDENTIAL ELECTION 28 October and 28 November 2018. ODIHR Election Observation Mission Final Report: <https://bit.ly/3b2COTG>.

განისაზღვრა საარჩევნო პროცედურების საწყისი ვადა, დაზუსტდა საარჩევნო სიებისა და ოლქების შექმნის გამო არასაარჩევნო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გასაჩივრების უფლება, გამარტივდა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცედურა, დაზუსტდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად დასანიშნ პირთა წრე, დაზუსტდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრობის შესახებ რეგულაციები და სხვ.

განსაკუთრებით დადებითად უნდა შეფასდეს 25%-იანი გენდერული კვოტირების მექანიზმის დამტკიცება, რომლის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს დაეკისრათ ვალდებულება, პროპორციულ პარტიულ სიებში, სულ მცირე, ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის ჰყავდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილებებს მოწინააღმდეგები ჰყავდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში პარტიების - „ევროპული საქართველოსა“ და „გირჩის“ სახით, ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული⁸ ეს ცვლილება, საკონსტიტუციო სასამართლომ, სრულიად სამართლიანად, არ დაავმაყოფილა⁹.

ბავშვის უფლებათა პოდენსი

2020 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ბავშვის უფლებათა კოდექსი. ეს არის ყოვლისმომცველი, ისეთი იშვიათი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელსაც საქართველოში რეალურად შეუძლია ბავშვების ცხოვრების გარდაქმნა. შესაბამისად, 2020 წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებად სწორედ ამ კოდექსის ამოქმედება უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს პარლამენტმა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“¹⁰, თანმდევ კანონებში ცვლილებით, ჰერ კიდევ 2019 წლის 20 სექტემბერს მიიღო. კოდექსის მიღების ძირითადი მაპროცედურებელი იყო საქართველოს მიერ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის რატიფიცირებით აღებული ვალდებულებების შესრულება და კანონმდებლობის დახვენის აუცილებლობა. კოდექსი წარმოადგენს მავალდებულებელი ტიპის დოკუმენტს, რითაც უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საერთო სასამართლოებმა, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებმა და ფიზიკურმა პირებმა ბავშვებთან და ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობისას.

კოდექსის თანახმად, გაიზარდა სახალხო დამცველის საზედამხედველო როლი, ბავშვთა უფლებრივი მდგრამარეობის შეფასების თვალსაზრისით, შეიქმნა

⁸ იხ. „გირჩის“ განცხადება: <https://bit.ly/2XjaQWk>.

⁹ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: <https://bit.ly/3n606Gf>.

¹⁰ იხ. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1>.

ბავშვები მორგებული მართლმსაჭულების სისტემა, რაც გულისხმობს უფასო იურიდიულ დახმარებას, ბავშვთან მუშაობისთვის სპეციალიზებული პირების მომზადებას. საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მოვალეობად განისაზღვრა ბავშვისათვის ინფორმაციის მიწოდება, საკუთარი უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ; ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, 500 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის გასხვისება, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ, დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად და სასამართლოს თანხმობის საფუძველზე; უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, პარლამენტში შეიქმნა ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო; კოდექსის მიხედვით, უკიდურეს შემთხვევაში ბავშვის ოჯახიდან განცალკევების აუცილებლობას მხოლოდ მოსამართლე გადაწყვეტს; ახალი კანონის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებული ხდება, სოციალურად დაუცველი ოჯახი უზრულველყოს მათზე მორგებული ფინანსური დახმარებით, გარდა ამისა, სოციალური მუშავი და ფსიქოლოგი შეისწავლიან მშობლების ფსიქიკურ და სოციალურ მდგომარეობას და დაეხმარებიან მათ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვაში, რაც მომავალში მშობლებს საშუალებას მისცემს, დასაქმდნენ და თავად არჩინონ საკუთარი იჯახი; ცვლილებები შეეხო ინტერნეტსა და მაუწყებლებსაც, ბავშვები მორგებული საინფორმაციო ბადისა და მარეგულირებელი კომისიის მიერ მისი კონტროლისა და აღსრულების მექანიზმის ეფექტურობის კონტექსტში; 2020 წლის 1 ივნისიდან, კი კანონპროექტის ინიციატორი ვალდებული იქნება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების შესახებ ინფორმაცია წარადგინოს. იგივე ვალდებულება იარსებებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის წარდგენის შემთხვევაშიც¹¹.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება პარლამენტის მიერ ბავშვის უფლებების შესახებ ერთიანი საკანონმდებლო აქტის შექმნას და ამოქმედებას, რაც გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტად აღიარებას და შეესაბამება გაეროს „ბავშვის უფლებების კონვენციის“ სელისკეთებას. ცენტრი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პარლამენტი ეფექტურ კონტროლს გაუწევს კოდექსის დანერგვას.

ცვლილებები შრომით კანონმდებლობაზე

ქართულ კანონმდებლობაში 2020 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა - მრავალწლიანი მოლოდინის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა 29 სექტემბერს მესამე მოსმენით დაამტკიცა ცვლილებები

¹¹ იხ. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საქმიანობის შეფასება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2020. https://transparency.ge/sites/default/files/parliament-2019-web-ge_1.pdf

საქართველოს ორგანულ კანონში - შრომის კოდექსში¹².

მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები სრულად ვერ პასუხობს ამ სფეროში არსებულ არაერთ გამოწვევას, იგი წინგადადადგმულ ნაბიჯად შეფასდა როგორც ადგილობრივი¹³ და საერთაშორისო¹⁴ უფლებადამცელი ორგანიზაციების, ისე ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან¹⁵.

შრომის კოდექსში შესული ცვლილებებით, თითქმის მთლიანად შეიცვალა აქამდე არსებული ნუმერაცია. 55 მუხლის ნაცვლად კოდექსის მოქმედ რედაქციაში 86 მუხლი გვხვდება¹⁶. ცვლილებები შეეხო დისკრიმინაციის დეფინიციას შრომით ურთიერთობებში და ახალ კოდექსში მისი ფორმულირება მიახლოებულ იქნა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ განმარტებასთან. ახალი რედაქციით, შრომითი ხელშეკრულების წერილობით დადება სავალდებულო გახდა 1 თვეზე მეტი ვადით შრომითი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, 1 წელზე ნაკლები ვადით დადებული ხელშეკრულებების მიმართ ახალი საკანონმდებლო რეგლამენტით ამოქმედდა, რომ მიხედვითაც, თუ განსაზღვრული ვადის შრომითი ხელშეკრულება დადებულია 1 წელზე ნაკლები ვადის განმსაზღვრული რომელიმე საფუძვლის გარეშე, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება.

ახალი რედაქცია, ძველისგან განსხვავებით, ითვალისწინებს: სამუშაო განაკვეთის ცნებას; სტაჟირების არსს და არაანაზღაურებადი და ანაზღაურებადი სტაჟირების ვადებს; დასაქმებულთა დასვენების მინიმალურ ღროს; ცვლაში მუშაობის ორგანიზების არსებით წესებს; ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობებს, მის ზედა ზღვარს და ანაზღაურების მინიმალური ოდენობას (საათობრივი ანაზღაურების 125%). ცვლილებები, ასევე, შეეხო ღამით მუშაობის შეზღუდვებს. აიკრძალა ორსულის, ახალნამშობიარების ან მექუქრი ქალის, შშმ პირის, არასრულწლოვნისა და შშმ პირის კანონიერი წარმომადგენელის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე. ახალი კოდექსი კაცებს აძლევს უფლებას, ისარგებლონ დეკრეტული შვებულებით; შემოაქვს ახალი რეგულაციები გაფიცვასთან დაკავშირებით და დამატებით განსაზღვრავს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამსახურებში“ დასაქმებულთათვის.

¹² იხ. ვრცლად: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/264269>.

¹³ იხ. EMC-ის განცხადება: <https://emc.org.ge/ka/products/emc-pozituri-tsvlilebebis-miukhedavad-shromis-kanonmdeblobashi-problemebi-rcheba>

¹⁴ იხ. Human Rights Watch-ის განცხადება: https://twitter.com/Giorgi_Gogia/status/1310953813344387072

¹⁵ იხ. აშშ-სა და ეკროკავშირის სრულუფლებიანი ელჩების განცადება: <https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-tbilisi-statement-on-parliaments-adoption-of-legislation-to-amend-the-labor-code-ka/> და <https://twitter.com/CarlHartzellEU/status/1311183917668536325>

¹⁶ იხ. საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს შრომის კოდექსი”: <https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=10>



პანდემია და ადამიანის უფლებები

საგანგებო მდგრადირობა

ახალი კორონავირუსის - Covid 19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემია 2020 წელს მთელი მსოფლიოსთვის უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა. ვაქცინის არარსებობის პირობებში, პანდემიასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური და ამავე დროს აღიარებული იარაღი სოციალური დისტანცია აღმოჩნდა. ვირუსთან ბრძოლას, მსოფლიოს უმრავ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაწესება, საკარანტინე ზომების გატარება და ადამიანის სხვადასხვა უფლებების შეზღუდვა მოჰყვა¹⁷.

ოფიციალურად, საქართველო მსგავსი ქვეყნების რიცხვს 2020 წლის 21 მარტს შეუერთდა, როცა საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრის წინასწარი წარდგინებით, გამოსცა N1 დეკრეტი - „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ონისძიებათა შესახებ“¹⁸. საქართველოს პარლამენტმა, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება იმავე დღეს დაამტკიცა¹⁹. თავდაპირველად, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა 21 აპრილის ჩათვლით, შემდეგ კი, იმავე პროცედურის დაცვით, 22 მაისის ჩათვლით გადავადლა.

ვირუსის გავრცელების მძიმე შედეგებისა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის ფონზე, მათ შორის - ოპონტიციური პარტიებისა²⁰ და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერით მოხდა²¹.

აღსანიშნავია, რომ შემზღვდავი ზომების გამოყენება ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, ეტაპობრივად დაიწყო. ეს შეზღუდვები, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, არ ეწინააღმდეგებოდა თანაზომიერების

¹⁷ იხ. ვრცლად: <https://transparency.ge/en/blog/what-we-should-know-about-declaration-state-emergency>

¹⁸ იხ. აქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N 1 ფერეტი:

<https://www.president.gov.ge/en/News/Article/%E2%80%8Bsagartvelos-presidentma-2020-clis-21-marts-gamosc>

¹⁹ იხ. ვრცლად: http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentma-sagangebo-mdgomareobis-gamocxadebis-shesaxeb-sagartvelos-presidentlis-brdzaneba-damtkica.page

²⁰ იხ. ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/343594>

²¹ იხ. ვრცლად: <http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/pandemia%20-geo.pdf>

პრინციპს, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს და იყო პროპორციული²².

21 მარტის პრეზიდენტის N1 დეკრეტით შეიტუდა თავისუფლების უფლება, მიმოსვლის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება, საკუთრების უფლება, შეკრებისა და შრომის თავისუფლება, რაც მოიცავს ყველა იმ უფლებას, რომლის შეზღუდვასაც უშვებს საქართველოს კონსტიტუცია საგანგებო მდგომარეობის დროს, გარდა კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებისა. ამასთან, პრეზიდენტის დეკრეტით არ მომხდარა უფლების შეჩერების მექანიზმის გამოყენება. პანდემიასთან საბრძოლველად მსგავსი ზომების მიღების ლეგიტიმურობა კითხვის ქვეშ არ დამდგარა, მათ შორის არც საქართველოში. თუმცა, ასეთი მდგომარეობისთვის დამახასიათებელი რისკები, ადამიანის უფლებებთან მიმართებაში, ქვეყანას ყოველთვის განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს. საგანგებო ზომების მიღების აუცილებლობა, სახელმწიფოს არათუ ათავისუფლებს, არამედ კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, თითოეული შემზღვდავი მექანიზმის აუცილებლობის დასასაბუთებლად.

ამასთან, შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, დაზარალებულ ადამიანთა ბრუნვის ვალდებულება და, აუცილებელი შეზღუდვების პარალელურად, განსაკუთრებულად მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ეკისრება მსგავსი ზომების გამტარებელ სახელმწიფოს.

დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩაურევლობა, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო სიტუაციაში საქართველოს კონსტიტუცია ამის შესაძლებლობას უშვებს. შედეგად, კრიზისის დროს არ შეფერხებულა მედიის საქმიანობა, პრესის თავისუფლება და საზოგადოების ინფორმირებულობა ვირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გატარებული ზომების ეფექტიანობას. ამის მიუხედავად, განსაკუთრებით ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე, პრობლემური იყო ცენტრალური ხელისუფლების კომუნიკაციის გამართულობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ენობრივი ბარიერის გამო. ამან მნიშვნელოვნად გაართულა ვირუსთან ბრძოლა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, სადაც მეტწილად ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა ცხოვრობს.

პანდემიასთან ბრძოლისას ხელისუფლებამ არაერთგვაროვანი მიდგომა

²² იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში: „ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში“, 2020.

http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/adaminais%20uflebebi%20sagangebo%20mdgomareobis%20pir_oebishi.pdf

გამოიჩინა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციებისადმი²³. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის შეკრებისა და საეკლესიო რიტუალების განხორციელებაში ჩაურევლობის პარალელურად, იგივე უფლებით ვერ სარგებლობდნენ სხვა რელიგიური ორგანიზაციები²⁴. მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო მდგომარეობის მიზებით რელიგიის თავისუფლების შეგღუდვას საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს, რელიგიის თავისუფლების (forum externum) შეზღუდვის უფლება სახელმწიფოს, პანდემიიდან გამომდინარე, მაინც აქვს, რაც ხელისუფლებამ მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებით არ გამოიყენა, მისი განსაკუთრებული გავლენიდან გამომდინარე, რამაც სხვა რელიგიური ორგანიზაციები არათანაბარ პირობებში ჩაყენა²⁵.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოულოდნელი არ ყოფილა ის მძიმე სოციალური შედეგები, რაც კორონავირუსთან ბრძოლისთვის მიღებულმა ზომებმა კიდევ უფრო გაართულა. კრიზისმა კიდევ ერთხელ ცხადყო ქართული შრომის კანონმდებლობის უმწვავესი პრობლემები, რამაც დამსაქმებლებისთვის ძალიან მარტივად შესაძლებელი გახადა დასაქმებულთა გათავისუფლება ან იძულებით უფასო შევებულებაში გაშვება. უმუშევრად დარჩენილთა დასახმარებლად, სახელმწიფოს მხრიდან 2 თვის განმავლობაში არანაირი ზომა არ იყო მიღებული, რამაც უამრავი ადამიანი შიმშილამდე მიიყვანა.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული სოციალური დახმარებები, რომელთა გაცემა თვეების განმავლობაში გაჭიანურდა (სავარაუდო - ოქტომბერში ჩანიშნულ არჩევნებზე გავლენის მოხდენის მიზნით), ვერ პასუხობდა სრულყოფილად არსებულ გამოწვევებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისთან ბრძოლისთვის დროულად გადადგმულმა ნაბიჯებმა, საწყის ეტაპზე - 2020 წლის გაზაფხულზე, სახელმწიფოს ჰანდაცვის კრიზისი თავიდან აარიდა და დაინფიცირებულთა რიცხოვნების გათვალისწინებით, ადამიანების ჰანძრთელობის უფლების რეალიზებას კრიზისის პირველ თვეებში საფრთხე არ შექმნია.

შედეგად, საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ, 2020 წლის ზაფხულში, შეზღუდვების რაოდენობამ და მასშტაბმა მნიშვნელოვნად იკლო. თუმცა, შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შემდეგ, მათ შორის - ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისას და

²³ იბ. დამატებით: <https://tabula.ge/ge/news/658028-religiuri-gaertianebebi-tskitishvilze-ar>

²⁴ იბ. დამატებით: <https://tabula.ge/ge/news/658159-meupe-luzepe-tskitishvils-tkveni-gadacqvetilebani>

²⁵ იბ., „ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში“. ადამიანის უფლებათა ცანტრი, 2020 http://hrdc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/adamnais%20uflebebi%20saqangebo%20mdgomareobis%20piroebes_hi.pdf

არჩევნების დღეს საზოგადოების ნაწილის მხრიდან სოციალური დისტანციის წესების დაცვაზე არაეფექტური კონტროლის გამო, შემოდგომაზე დაავადების შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იმატა.

აქედან გამომდინარე, არჩევნების დასრულების შემდგომ, მთავრობამ კვლავ გაამკაცრა რეგულაციები. მიუხედავად მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა, რაც უპირველესად ჰანდაცვის სისტემის მოუმზადებლობით, ხელისუფლების არათანმიმდევრული ქმედებებითა და არჩევნებთან დაკავშირებული პროცესებით არის განპირობებული, მთავრობის პოლიტიკა შეზღუდვებთან დაკავშირებით მეტილად არათანმიმდევრული და რიგ შემთხვევებში დისკრიმინაციულია

ადამიანის უფლებები კანონის პირობებში

როგორც წესი, დაუცველი ჰგავები მსგავსი კრიზისების დროს კიდევ უფრო მოწყვლადები ხდებიან. საქართველოც არ ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. კრიზისმა განსაკუთრებული პრობლემები შექმნა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, რამაც მოსახლეობის ყველაზე დაუცველი, დაბალი შემოსავლის მქონე ჰგავები, კიდევ უფრო რთულ ვითარებაში ჩააყენა. საგანგებო სიტუაციისა და კომენდანტის საათის გამო დაწესებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ეკონომიკური აქტივობების განხორციელება, რამაც ხელფასის, ხშირ შემთხვევაში კი სამსახურის გარეშე დატოვა ათასობით ადამიანი.

სამწეხაროდ, 2 თვის განმავლობაში, როცა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებული რეჟიმი მოქმედებდა, უმუშევრად და უხელფასოდ დარჩენილ ადამიანთა დასახმარებლად, სახელმწიფოს არ გადაუდგამს შემხვედრი ნაბიჯები. მისი გათვალისწინება მხოლოდ ანტიკრიზისული გეგმით მოხდა, საგანგებო მდგომარეობის დასასრულს. გეგმის ხარვეზების გამო კი ვერ მოხერხდა მსგავსი საჭიროების მქონე ყველა ადამიანების იდენტიფიცირება, რამაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ყოველგვარი დახმარების გარეშე დატოვა. პანდემიის გამო, უფასო კვების ადგილების დაკეტვამ მუნიციპალიტეტებში ცალსახად იქონია გავლენა იმ შექირვებულ ადამიანებზე, რომლებიც ამ სერვისებზე იყვნენ დამოკიდებული. მართალია, კრიზისიდან გამომდინარე, ეს სერვისიც მოდიფიცირდა და საკვებზე წვდომა შეუნარჩუნა ბენეფიციარებს, მაგრამ თავად სერვისების დაფარვის არეალი საკმაოდ მცირეა, განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით და ვერ პასუხობს გამოწვევებს.

საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ხანდაზმული ადამიანების მოწყვლადობიდან გამომდინარე, მათთვის განკუთვნილმა გადაადგილების უმკაცრესმა ზომებმა, მნიშვნელოვნად შეზღუდა ხანდაზმულთა უფლებები. კარანტინისას მათი საკვებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა სახელმწიფომ

იკისრა, მაგრამ ყოველთვის ვერ ხერხდებოდა სერვისის შეუფერხებელი მიწოდება.

ამასთან, 2020 წლის გაზაფხულზე, ავტომობილით გადაადგილების შეზღუდვამ დიდი გავლენა იქონია სოფლად მცხოვრებ ადამიანებზე, ვისაც მაღაზიებამდე და სხვა აუცილებელ ობიექტებამდე მისასვლელად ვილომეტრების გავლა უწევდათ, რაც განსაკუთრებულად რთული მოხუცებისთვის იყო.

კრიზისთან გამკლავების პირობებში დადგენილი ახალი რეგულაციებით, კანმრთელობის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შეიძლება პატიმართა უფლებებიც (მაგალითად ვიზიტებზე დაწესებული შეზღუდვით). მართალია, მსგავსი შეზღუდვის დაწესების აუცილებლობა არ დამდგარა ეჭვევშ, მაგრამ საპატიმრო პირობებში მყოფი ადამიანებისთვის მათი უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვა, აუცილებლად უნდა ასახულიყო მათ მიერ პატიმრობაში გასატარებელი დროის ხანგრძლივობაზე. სამწუხაროდ, არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას მსგავსი ზომები არ გაუტარებია.

პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით მწვავე გახდა სათანადო საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში, რაც წლების განმავლობაში, სისტემური ხასიათის პრობლემად რჩება. ქვეყანაში არ არსებობს უსახლვარო პირთა დაცვის სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. კანონმდებლობაში კვლავაც არ არის უსახლვარო პირის სრულფასოვანი დეფინიცია და ამ უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა, არ არსებობს უსახლვაროთა შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა.

უსახლვაროთა პრობლემების ნათელი ილუსტრაციაა 2020 წლის 15 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მერიის დავალებით, თბილისში, ე.წ. აფრიკის დასახლებაში 12-მდე შენობა-ნაგებობის სპეციალური ტექნიკით დანგრევა. შენობები სხვადასხვა დროს დედაქალაქის კუთვნილ მიწაზე უნდართვოდ იყო აშენებული. ადგილობრივების განმარტებით, დანგრეულ შენობებს სოციალურად დაუცველი მოქალაქეები საბანკო სესხების ხარჯები აშენებდნენ, როგორც ამ ოჯახების ერთადერთ საცხოვრისს²⁶.

ჟანმრთელობის უფლება კანდემიის პირობები

ბოლო ათწლეულში კანდაცვის სისტემაში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი და პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, რაც საქართველოში საყოველთაო კანდაცვის სისტემის დანერგვას გულისხმობს, ამ სფეროში კვლავაც არაერთი გამოწვევა რჩება, რომელიც ნეგატიურად აისახება ქვეყანაში მცხოვრები

²⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20301&lang=geo>.

ადამიანების ჰანმრთელობის უფლებაზე.

კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიასთან გამკლავება, ქვეყანაში არსებული რესურსებით შეუძლებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ ღარიბი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისათვის, არამედ განვითარებული და მაღალტექნოლოგიური ქვეყნებისთვისაც კი. მართალია, ხელისუფლების მიერ მკაცრი ზომების დროული მიღებით, ვირუსის გავრცელების პირველ ეტაპზე, თავიდან იქნა არიდებული ინფექციის მასშტაბური გავრცელება, მაგრამ 2020 წლის ბოლოსთვის, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ქვეყანა მწვავე კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. გაიზარდა როგორც ინფიცირების, ისე სიკვდილიანობის შემთხვევები, როგორც მოსახლეობაში, ისე ჰანდაცვის სექტორის მთავარ საყრდენში - მედ პერსონალში²⁷.

ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო კრიზისის მე-2 ტალღისთვის წინასწარი მომზადება, რამაც კრიზისის მართვა განსაკუთრებით გაართულა.

ქვეყანაში არ არსებობს პირველადი ჰანმრთელობის დაცვის (პჯ) განვითარების პოლიტიკური ნება, რამაც დიდი გავლენა იქონია კრიზისის მართვაზე. ჰანდაცვის სისტემის აქცენტები ძირითადად გადატანილია სტაციონარულ სექტორზე, რომელიც თითქმის მთლიანად პრივატიზებულია და მოგებაზეა ორიენტირებული. ჰანდაცვის სისტემის კომერციალიზაციის გამო საფრთხის ქვეშ დგება პჯ სერვისების ხელმისაწვდომობა და თანასწორობა. კვლავ არ არის პჯ-ს დეფინიცია მკაფიოდ განსაზღვრული - პირველადი ჰანდაცვის მიმწოდებელი ექიმ-სპეციალისტების ჩამონათვალი (ოჯახის ექიმი, პედიატრი, თერაპევტი თუ ვიზრო სპეციალისტი), მათი კომპეტენციები და მომსახურების სახეები; კრიზისმა, ასევე, ცხადყო მუნიციპალური და რეგიონული საზოგადოებრივი ჰანმრთელობის სამსახურების ჩართულობის გაზრდისა და გაძლიერების აუცილებლობა²⁸.

²⁷ იხ. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი:

https://stopcov.ge/ka/News/Article/sakaryeloshi_chamomsvlel_pirebs_yiyizolatsiis_tsinastsari_moykhovnis_shesadzlebla_oba_akvy

²⁸ იხ. ვრცლავი: <http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/pandemia%20-geo.pdf>

◆ სასამართლო ხელისუფლება

2020 წელს, წინა წლების მსგავსად, საერთო სასამართლოებთან ერთად, გაძლიერდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე სხელისუფლებო ძალების გავლენა, რაც განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის არაეფექტურობაში გამოიხატა. ამასთან, საქართველოში შეიმჩნევა კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურობის ვარდნა და სამართლიანი სასამართლოს უფლების კუთხით არსებული სხვა გამოწვევები²⁹. კერძოდ, კონსტიტუციურ სარჩელებზე რეაგირების მაჩვენებელი 2020 წლის 15 აპრილიდან 15 ივნისამდე 90% იყო³⁰; 2020 წლის 15 ივნისის შემდეგ შეტანილ 6 კონსტიტუციურ სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს საერთოდ არ ჰქონია რეაგირება³¹, ხოლო 2020 წლის 15 ივნისამდე არსებითად განსახილველად მიღებული სარჩელებიდან არც ერთზე არ მიუღია გადაწყვეტილება³².

2020 წლის 3 აპრილს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენურის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ხვიჩა კიკილაშვილი დაინიშნა³³. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის პოზიცია ვაკანტური გახდა 2019 წლის 5 დეკემბერს, მაგრამ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ახალი მოსამართლე კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ დანიშნა. უზენაესი სასამართლოს პლენურმა არ გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების მოწოდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ აერჩია საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როდესაც საზოგადოებას რეალურად არ შეეძლებოდა პროცესზე დაკვირვება და კონტროლი³⁴.

2020 წლის 29 მაისს, უზენაესი სასამართლოს პლენურმა საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი ახალი მოსამართლე - გასილ როინიშვილი დანიშნა³⁵. ამ შემთხვევაშიც მოსამართლის შერჩევის პროცესი იყო გაუმჯობესებული - მოსამართლის არჩევამდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო მოსამართლის კანდიდატურა³⁶.

²⁹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „კოვიდ-19 და კონსტიტუციური კონტროლი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასება“, გვ 11, იხ: <https://bit.ly/3p6hZ7Z>.

³⁰ იქვე: გვ. 8.

³¹ იქვე: 8, 9, 17.

³² იქვე: 8, 9, 17.

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადება: <https://bit.ly/3nBArop>.

³⁴ იხ.: ხელმომწერი ორგანიზაციები უზენაესი სასამართლოს პლენურმა მოწოდებები საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე თავი შეიკავოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშნისგან: <https://bit.ly/3h2LaG6>.

³⁵ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3reKVwi>.

³⁶ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3nBjURJ>.

2020 წლის 8 მარტს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების ორი დღიუმენტი გაფორმდა³⁷. დოკუმენტით აღიარებულია, რომ მართლმსაჭულების სისტემაში „უმაღლესი სტანდარტი“ უნდა იყოს დაცული. მინიშნებულია იმაზეც, რომ შეთანხმებით, ამჟამადაც და მომავალშიც სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიკაზე რეაგირება აუცილებელია. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური 2020 წლის 31 ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ დაწყებული სისხლისამართლებრივი დევნის/დაკავების/დაპატიმრების დროს გახდა³⁸.

სწრაფ და ხარისხიან მართლმსაჭულებას, როგორც სამართლიანი სასამართლოს განმსაზღვრელ ერთ-ერთ ინდიკატორს, სამართლებრივთან ერთად, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. სამართლიანი სასამართლოს უფლება ფიქცია, თუკი მისი ცხოვრებაში რეალიზება გონივრული, დარღვეული უფლების აღდგენისათვის ადეკვატური ვადის დაცვით არ განხორციელდა. თუ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს უფლების დაცვისა და აღდგენის დროული მექანიზმების არსებობას, სამართლიანი სასამართლოს არათუ უფლება, არამედ იდეაც კი, განუსაზღვრელ დროში იკარგება³⁹. ეს კი, თავის მხრივ, ქმნის რისკებს და აძლიერებს ეჭვებს მართლმსაჭულების ორგანოებები ხელისუფლების მხრიდან ზეგავლენაზე, როდესაც სახელმწიფო მათ პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად იყენებს.

სასამართლო სისტემა კანდიდიტი გამოცვეული პრიზისის პირობებში

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტით⁴⁰ განისაზღვრა სასამართლო სხდომების, მათ შორის - სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა. შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში⁴¹. აგრეთვე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაციების პაკეტი⁴², რომელიც მიზნად ისახავს პანდემიის დროს მართლმსაჭულების უსაფრთხო განხორციელების ხელშეწყობას.

³⁷ იბ.: 1) ურთიერთგაების მემორანუმი: <https://bit.ly/2KljOnA>; 2) იბ.: ერთობლივი განცხადება: <https://bit.ly/2WwpXeh>.

³⁸ იბ.: სავარაუდო პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შეალებული ანგარიში: ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წელი. ხელმისაწვდომობა: <https://bit.ly/2JZ0eZh>.

³⁹ იბ.: ზართლმსანებლების ხელმისაწვდომობის პრობლემა, მისი გამოწვევები მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები, თბილისი, 2017, გვ.3. ხელმისაწვდომობა: <https://bit.ly/3mQ9DQ6>.

⁴⁰ იბ.: საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, მუხ. 7. <https://bit.ly/39mZ0BA>.

⁴¹ იბ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი: <https://bit.ly/3lQnFG>.

⁴² იბ.: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის N1 რეკომენდაცია: <https://bit.ly/2E0tlI9>.

პრეზიდენტის დეკრეტით განსაზღვრული დროებითი წესის ამონტურვის შემდეგ, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არსებობდა პროცესის მთლიანად დისტანციურად გამართვის საკანონმდებლო საფუძველი, 2020 წლის 22 მაისს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და საქართველოს საერთო სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, 2020 წლის 15 ივნისამდე სასამართლო სხდომები დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაეტარებინათ⁴³. ამ ცვლილებების შემდეგ, სასამართლო პროცესები ტარდებოდა როგორც დისტანციურად, ისე სასამართლოს სხდომათა დარბაზებში.

2020 წლის 15 სექტემბერს⁴⁴, შემდგომ კი, 1 დეკემბერს⁴⁵, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ COVID19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საერთო სასამართლოებისთვის რეკომენდაციები კიდევ დაამტკიცა.

სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები. ბრალდებულთა უმრავლესობისთვის არ არსებობდა ადგოვატან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა. მოწმეთა დაკითხვის დროს, რიგ შემთხვევებში, სასამართლო ვერ ამოწმებდა მოწმეთა სანდოობას. ტექნიკური ხარვეზების გამო, პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა. უმრავლეს შემთხვევებში, სასამართლო სხდომები იწყებოდა დაგვიანებით ან/და ხდებოდა მათი გადადება. ყველაზე მთავარი პრობლემა კი იყო სასამართლო პროცესების დაინტერესებულ პირთათვის, მათ შორის - სასამართლო მონიტორებისთვის, დახურვა⁴⁶.



პოლიტიკური დევნის ნიშნები

2020 წლის 11 მარტს გამოქვეყნებულ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, სადაც საუბარია საქართველოში ადამიანის უფლებების მდგრადირეობის შესახებ, სხვა არაერთ პრობლემასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია შესაძლო პოლიტიკური მოტივაციის პრობლემაზე სამართალწარმოებასა და გამოძიებაში⁴⁷. საგარაუდო პოლიტიკური ნიშნით წარმართულ არაერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ცენტრიც წერდა 2019 წლის ადამიანის უფლებათა

⁴³ იბ.: საქართველოს 2020 წლის 22 მაისის N5973-სს კანონი: <https://bit.ly/33kK9Ua>.

⁴⁴ იბ.: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 15 სექტემბრის რეკომენდაციები: <https://bit.ly/3mgfJH>.

⁴⁵ იბ.: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის რეკომენდაცია: <https://bit.ly/3qDpk6O>.

⁴⁶ იბ.: საგარაუდო პოლიტიკურად მოტივირებული საქმების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შეაღეთერი ანგარიში: ადამიანის უფლებათა ცნობრი. 2020 წელი. <https://bit.ly/2JZoehz>.

⁴⁷ იბ.: 20-21 ივნისის მოვლენები - სამართლებრივი ანალიზი, ადამიანის უფლებათა ცნობრი. <https://bit.ly/38nWLeW>.

მდგომარეობის ამსახველ ანგარიშში. ეს საქმეები, 2020 წლის განმავლობაში, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მწვავე კრიტიკის მიზეზიც გახდა, რასაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ ორი მსჯავრდებულის - ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას და პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის შეწყალებაც მოჰყვა⁴⁸.

2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ან გაგრძელდა წინა ხელისუფლების არაერთი მაღალი რანგის მოხელის, ასევე - ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების მიმართ. ამ საქმეებზე სავარაუდო პოლიტიკური მოტივების არსებობის გამო, იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა⁴⁹. საქმეთა მონიტორინგისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევები.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, საგარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ 25 საქმეზე განახორციელა სასამართლო მონიტორინგი⁵⁰, მათ შორის, მოამზადა 1 შუალედური⁵¹ და 1 შემაჯამებელი⁵² ანგარიში, ასევე - ანალიტიკური დოკუმენტები: გიორგი უგულავას⁵³, ირაკლი ოქრუაშვილის⁵⁴, გიორგი რურუას⁵⁵, ნიკა გვარამიას⁵⁶, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული პირებისა⁵⁷ და ნიკა მელიას⁵⁸ სისხლის სამართლის საქმეებზე; დოკუმენტებში შეფასებულია ასევე სხვა პირთა მიმართ წარმომადგენლი სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებიც⁵⁹.

48 იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3nOQqbN>

49 მათ შორის აღსანიშვალის ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტი - „საზოგადოებრივი მოვლენების მონიტორინგი“, რომელიც NED-ის მხარდაჭერით, 1 თბერგვალს დაიწყო და 31 დეკემბერს დასრულდა.

50 საქმეთა შესახებ ინფორმაცია სრულად: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20305&lang=geo>

51 იხ.: საგარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პრიცესების მონიტორინგი - შეალებური ანგარიში: ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. <https://bit.ly/2JZ0eZh>.

52 იხ.: საგარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2KBRzwe>.

53 იხ.: „გორგა უგულავას ინიციატივით მომდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/33Sqt7x>.

54 იხ.: „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/31NEpkA>.

55 იხ.: „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2CkSOfd>.

56 იხ.: „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/33NghAb>.

57 იხ.: „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUIHFn>.

58 იქვე.

59 იხ.: საგარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2KBRzwe>.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები

ნინასაარჩევნო გარემოს შეფასება

2020 წლის 8 მარტს, საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევის შედეგად მმართველმა და ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს⁶⁰, რასაც მოჰყვა საკონსტიტუციო ცვლილებები. 2020 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტებს⁶¹.

განხორციელებული ცვლილებების მიზანს საარჩევნო სისტემაში პროპორციული კომპონენტის გაზრდა და საარჩევნო სისტემის ბარიერის შემცირება წარმოადგენდა. საარჩევნო ბარიერის შემცირებამ ხელი შეუწყო პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი პოლიტიკური პარტიების გამოჩენას და წინასაარჩევნო პერიოდის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

დადებითი საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, კვლავაც პრობლემურ საკითხად რჩება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, საარჩევნო აღმინისტრაციების დაკომპლექტების, სახელმწიფოსა და მმართველი ძალის (პარტიული) რესურსების მკვეთრად გამიჯვნის, ამომრჩევლის მოსყიდვის საკითხები. წინა წლების მსგავსად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება საარჩევნო დავები, განსაკუთრებულ შემთხვევაში შექმნილი უბნები (სპეციალური უბნები).

სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის ფაქტები, რაც ძირითადად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ ხორციელდებოდა. გამოვლინდა მუქარისა და საარჩევნო კამპანიის ხელშეშლის შემთხვევები როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და აქტივისტების, ისე მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. აქტიური ხასიათი ჰქონდა უურნალისტური საქმიანობის ხელშეშლას და მუქარას, ასევე ფიზიკურ ძალადობას უურნალისტებზე და პოლიტიკურ აქტივისტებზე, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი 2020 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, ბოლნისსა და მარნეულში მომხდარი დაპირისპირების დროს მიიღო⁶².

⁶⁰ იხ.: 1) ურთიერთგაგების მემორანდუმი: <https://bit.ly/2Klj0nA>.

⁶¹ იხ.: საქართველოს კონსტიტუციური კონონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; <https://bit.ly/3qlHYOF>.

⁶² იხ. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი - მეორე შეალებური ანგარიში, 2020 წელი. <https://bit.ly/3mCwoXU>.

მიუხედავად იმისა, რომ Covid-19-ის გავრცელების პრევენციისათვის გატარებულ ღონისძიებებს ხელი არ შეუშლია საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიებისთვის, განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი საკითხი აღმოჩნდა კოვიდინფიციებული ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პროცედურების მართვის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

2019 წლის 19 ოქტომბერს ცესკომ მიიღო დადგენილება⁶³, რომლის მიხედვითაც, იმ პირებს, რომლებიც თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ ან სახლში მკურნალობდნენ, მხოლოდ გადასატანი ყუთის სამუალებით შეეძლოთ ხმის მიცემა, რისთვისაც მათ არაგონივრულად ხანმოკლე ვადაში (24-27 ოქტომბერი) დაევალათ დარეგისტრირება, რამაც კონსტიტუციით გარანტირებული აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობა შემცირდა. გარდა ამისა, ცესკომ, საბოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, არჩევნებში ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, მიიღო კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი⁶⁴.

კანდემიის პირობებში ჩატარებული არჩევნები

ადამიანის უფლებათა ცენტრის ზოგადი შეფასებით, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, წინასაარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით, დარღვევებით და ხარვეზებით წარიმართა, რამაც საბოგადოებაში არჩევნების გაყალბების ეჭვი და შესაბამისად - პროტესტი გააჩინა. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობისა და მკაცრი იზოლირების სახელმწიფო პოლიტიკის პარალელურად, რასაც მძიმე ეკონომიკური კრიზისი ერთვის თან, უკამაყოფილო ამომრჩეველთა საპროტესტო ტალღამ შექმნა მწვავე პოლიტიკური კრიზისი, რაც თავისთავად გაიანის მომტანია სახელმწიფოს ინტერესებისთვის და დემოკრატიული განვითარებისთვის.

2020 წლის 31 ოქტომბერს, უმუალოდ კენჭისყრის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მიერ იდენტიფიცირებული დარღვევების ძირითადი ნაწილი პროცედურულ ხარვეზებს უკავშირდებოდა, როგორიცაა: მარკირების პროცედურა, ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით გათვალისწინებული ზომების გამოყენება, ამომრჩეველთა იდენტიფიცირება, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა. თუმცა, კენჭისყრის დღეს ასევე დაფიქსირდა ჟურნალისტებისა და

⁶³ იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №45/2020, 2020 წლის 19 ოქტომბერი.
<https://bit.ly/38k0cU1>.

⁶⁴ იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №38/2020, 2020 წლის 18 სექტემბერი.
<https://bit.ly/2Wswl69>.

დამკვირვებლების მუშაობისთვის ხელშეშლისა და საარჩევნო უბნებზე აგიტაციის ფაქტებიც.

ყველაზე თვალშისაცემი პრობლემა, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ახასიათებდა, ეს იყო დისბალანსი ხმის დათვლის შემაჯამებელ ოქმებში, რომელთა გამოსწორების მიზნით, საარჩევნო კომისიებში დიდი რაოდენობით შესწორების ოქმები შედგა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად⁶⁵, 507 საარჩევნო უბანზე დაიწერა შესწორების ოქმი (პროპორციული), რაც უბნების 13.18%-ს წარმოადგენს მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2016 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ეს მაჩვენებელი 353 (9.57%) იყო. რაც შეეხება მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, 584 საარჩევნო უბანზე დაიწერა შესწორების ოქმი, რაც წარმოადგენს უბნების 15.39%-ს მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს მაჩვენებელი იყო 271 (7.46%).

ამდენმა შესწორებებმა ხმის სამართლიანი დათვლის შესახებ საზოგადოებაში კითხვები და უნდობლობა გააჩინა, პოლიტიკურმა პარტიებმა კი არჩევნების შედეგებს ბოიკოტი გამოუცხდეს და მასშტაბური საპროტესტო აქციების ორგანიზება დაიწყეს, რიგვარეშე არჩევნების ჩატარებისა და საარჩევნო აღმინისტრაციის შეცვლის მოთხოვნით.

საერთაშორისო სადამკვირვებლო თრიგულიზაციების შეფასება

ეუთო/ოდირის ანგარიშში⁶⁶ საუბარია როგორც წინასაარჩევნო გარემოზე, წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ, ასევე უშუალოდ კენჭისყრის დღეს განვითარებული მოვლენების შესახებ.

ანგარიშის თანახმად, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა. ამის მიუხედავად, ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზოგრის ბუნდოვანება საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებდა⁶⁷. ეუთო/ოდირის შეფასებით, COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების ფონზე, საარჩევნო აღმინისტრაცია კანონით დაწესებულ ვადებს იცავდა და არჩევნების

⁶⁵ იხ.: სტატისტიკური ინფორმაცია შესწორების ოქმებისა და ახსნა-განმარტებების შესახებ. <https://bit.ly/2KC2wNY>.

⁶⁶ იხ.: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისა საქართველო – საპარლამენტო არჩევნები, 2020 წლის 31 ოქტომბერი. მოხსენება წინასწარი მიზნებისა და დასკვნების შესახებ, ეუთო/ოდირი. <https://bit.ly/3aozr3s>.

⁶⁷ იქვე: გვ. 1.

ტექნიკურ ასპექტებს ეფექტურად მართავდა⁶⁸. საარჩევნო კამპანიის დროს ფუნდამენტური თავისუფლებები ძირითადად დაცული იყო; კამპანია მთლიანობაში კონკურენტულობით ხასიათდებოდა, მაგრამ პარტიების მხარდამჭერების და საჯარო სექტორში დასაქმებულების დაშინების შესახებ ცნობები ფართოდ ვრცელდებოდა; ბევრი ოპოზიციური პარტიის განცხადებით, მათი მხარდამჭერები და პერსონალი პოლიტიკური ზენოლის ქვეშ იმყოფებოდა; გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია რამდენიმე ძალაცობრივი ინციდენტის შესახებ. მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვარი ხშირად ბუნდოვანი იყო, რაც უფლოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება⁶⁹.

NDI-ის შეფასებით⁷⁰, არჩევნების დღეს ხმის მიცემა, ძირითადად, კანონით დადგენილი წესებით მიმდინარეობდა. თუმცა, საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელთა ჯგუფებმა, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზი გაუსვეს შედეგების ოქმებთან და ხმის მიცემის ფარულობასთან დაკავშირებულ დარღვევებს. მათ დააფიქსირეს საარჩევნო უბნებს გარეთ ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები, ჟურნალისტებისა და დამკვირვებლებისთვის მუშაობაში ხელის შეშლის ფაქტები, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და ხმების გაყალბების სავარაუდო შემთხვევები და საარჩევნო უბნების უმეტესობის გარეთ პარტიული კოორდინატორების და აქტივისტების ყოფნა, რაც დაშინების გარემოს ქმნიდა. ამავე ანგარიშით, წინასაარჩევნო პროცედურების ადმინისტრირება ზოგადად შეფასდა როგორც კომპეტენტური, კანონთან შესაბამისი და გამჭვირვალე, მაგრამ პარტიული ნიშნით მიკერძოებულობა, განსაკუთრებით - ქვედა დონის კომისიებში, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუდმივი კრიტიკის საგანი იყო.

⁶⁸ იქვე: გვ. 2.

⁶⁹ იქვე: გვ.3.

⁷⁰ იხ.: ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, NDI. <https://bit.ly/38kn0Ty>.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

2020 წელი საპროტესტო აქციების სიმრავლით გამოირჩევა. თუმცა, 2019 წლისგან განსხვავებით, 2020 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებამდე გამართული აქციების უმრავლესობა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა⁷¹. აღსანიშნავია, რომ ამას განაპირობებდა საპროტესტო აქციებში მონაწილე დემონსტრანტთა მცირერიცხოვანი რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, კორონავირუსის გავრცელების გამო დაწესებულმა სხვადასხვა სახის შეზღუდვებმა გამოიწვია. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, შეიძლება შეკრებები და მანიფესტაციებიც⁷².

აქციების უმეტეს ნაწილში, ადგილზე მყოფი პოლიციელები დემონსტრანტებს არ უქმნიდნენ ბარიერებს მოთხოვნებისა და პროტესტის გამოხატვისას. ისინი უზრუნველყოფლიდნენ აქციების მშვიდობიანად ჩატარების გარემოს, იცავდნენ მონაწილეების უსაფრთხოებასა და დაცულობას, ხოლო მცირე არეულობის შემთხვევებში, უზრუნველყოფლიდნენ, ეს ქცევა სხვა მონაწილეებზე არ გავრცელებულიყო და ამას საფრთხე არ შეექმნა სხვა მონაწილეებისთვის. თუმცა, დადგებითი ტენდენციის პარალელურად, დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პოლიცია შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენების შუქარით შლილა აქციებს⁷³.

2020 წლის 3 ნოემბერს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №660, რომლის საფუძვლზეც საგალდებულო ვახდა პირბადის ტარება ღია საჯარო სივრცეში ყოფნისას/გადაადგილებისას⁷⁴. ამ წესის დარღვევის გამო პასუხისმგებლობა განისაზღვრა საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმით. აქციებში მონაწილეები ხშირად არ ასრულებდნენ ამ მოთხოვნას, პოლიციელები კი მოუწოდებდნენ დისტანციის დაცვისა და პირბადის ტარებისკენ.

2020 წლის 9 ნოემბრიდან, საქართველოს მთავრობამ კვლავ მიიღო Covid-19-

⁷¹ იხ.: საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წელი. <https://bit.ly/3atnKZe>.

⁷² იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი. <https://bit.ly/36ZQVkw>.

⁷³ მაგ., იხ.: პოლიტიკური პარტიის „გრინის“ აქცია იპოდრომზე, „საგანგებო მდგრამარებისა და მის პერიოდში გამოწერილი გარემონტის მოთხოვნით“ - (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი). აქციაზე მისულ პირებს საპატრულო პოლიციის ნარმომადგენლები მოუწოდებდნენ, დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დაგარიტებით ან დაკავებით ემუშავებოდნენ.

⁷⁴ იხ.: საქართველოს მთავრობის დადგენილება №660 - პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 2020 წლის 3 ნოემბერი. <https://bit.ly/3qKITVs>.

თან დაკავშირებული შეზღუდვები⁷⁵, რაც დამატიანებელი ეფექტის მქონე აღმოჩნდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის.

წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება აღმინისტრაციული დაკავშირების პრაქტიკა. მაგალითად, 2020 წლის 9 ნოემბერის აქციაზე, „სირცხვილიას“ აქტივისტი აქციაზე შეჭის შეტანის მცდელობის გამო დააკავეს⁷⁶. თბილისის საქალაქო სასამართლომ იგი სამართალდამრღვევად სცნო საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე.

2020 წლის 8 ნოემბრის აქცია

აქცია სახელწოდებით „დაიცავი შენი ხმა“ საქართველოს პარლამენტთან 2018 წლის 8 ნოემბერს გაიმართა, სადაც მომიტინგებმა არჩევნების შედეგები გაპროტესტეს და სხვა მოთხოვნებთან ერთად, ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვეს⁷⁷. აქციის დასრულების შემდეგ, დემონსტრანტების ნაწილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობისკენ გადაინაცვლა.

ცესკოსთან აქციის მონაწილეთა მცირე ნაწილის გამოჩენას სამართალდამცავთა მყისიერი რეაქცია მოჰყევა. მიუხედავად მომიტინგეთა მცირე რაოდენობისა და ადგილზე მობილიზებული საპოლიციო ძალების შესაძლებლობისა - დამატებითი ძალის გარეშე გაეკონტროლებინათ სიტუაცია, რამდენიმე წუთში სამართალდამცავებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ, მათი დაშლის მიზნით, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სპეციალური საშუალება - წყლის ჭავლი და ე.ჩ. წინაკის სპრეე გამოიყენეს⁷⁸. სპეციალური საშუალებების გამოყენებას წინ უძლოდა მხოლოდ აქციის ერთეული მონაწილის მხრიდან ცესკოს ებოს წინ არსებული რკინის ფირფიტებიანი ღობის მორღვევის მცდელობა, ხოლო დემონსტრანტების ძირითადი ნაწილი პროტესტს მშვიდობიანად გამოხატავდა⁷⁹. როგორც მედიით გავრცელებული კადრებიდან და მონიტორთა ანგარიშებიდან ჩანს, წყლის ჭავლი ასევე გამოიყენებოდა აქციის მშვიდობიანი მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ⁸⁰. 00:10 საათიდან პოლიციამ კიდევ ერთხელ გამოიყენა წყლის ჭავლი. ამ დროისთვის აღგილზე უკვე მობილიზებული

⁷⁵ იხ.: საქართველოს მთავრობის დაფენილება №670 - „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

⁷⁶ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3nCixlE>.

⁷⁷ იხ. ვრცლად: <https://formulanews.ge/News/39293>

⁷⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიში. 08.11.2020.

⁷⁹ ასევე, იხ.: ინფორმაცია: <https://formulanews.ge/News/39378>.

⁸⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში. 08.11.2020. ასევე - ინფორმაცია: <https://bit.ly/3kfG2OV>.

იყო 5-6 წყალსატყორცნი მანქანა, რომლებიც უშვებდნენ წყლის ჭავლს აქციის მონაწილეებისკენ⁸¹. სპეციალური საშუალებების გაუფრთხილებლად და ძალის გადამეტებით გამოყენებამ აქციის მონაწილეთა აგრესია გამოიწვია. პოლიციის მიერ გავრცელებული ვიდეოებიდან ჩანს, რომ წყლის ჭავლის გამოყენების შემდეგ აქციის მონაწილეები წყალსატყორცნი მანქანისკენ ისვრიან ქვებს და ასევე - ცეცხლმოვიდებულ შეშებს. ქვებისგან ჩაიმსხვრა წყალსატყორცნი სპეცმანქანების საქარე მინები⁸².

ცესკოს წინ შეკრებილი დემონსტრანტების წინააღმდეგ პირველ შემთხვევაში წყლის ჭავლისა და ე.წ. წინავის სპრეის გაუფრთხილებლად გამოყენება წარმოადგენდა არაპროპორციულ ძალას, რამაც უხეშად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. სამართალდამცავთა მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებები არ იყო კანონის შესაბამისი, პროპორციულად შემზღვდველი და აუცილებელი⁸³. გაუფრთხილებლად სპეცსაშუალებებით აქციის პირველად დაშლის შემდეგ შეკრების მონაწილეთა აგრესია და წინააღმდეგობა თავად პოლიციის ძალადობრივი ქცევით იყო პროვოცირებული და შეკრების თავისუფლების შეფასებისას ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია. თუმცა, რადგან დემონსტრანტთა ნაწილის ქცევამ ძალადობრივი ხასიათი მიიღო, იგი საჭიროებდა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის რეაგირებას. შესაბამისად, ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს მეორე შემთხვევაში სპეციალური საშუალებების გამოყენება, თანაც უკვე - მრავალჯერადად წინასწარი გაფრთხილების შემდეგ.

3.6. პომენდანტის საათი და გამოხატვის თავისუფლება

საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 9 ნოემბრიდან საქართველოს შვიდ ძირითად ქალაქში ღამის 22 საათიდან დილის 5 საათამდე ფაქტობრივად კომენდანტის საათი გამოაცხადა⁸⁴. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის (GDI, ISFED, HRC და TI) შეფასებით, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვები, შესაძლოა, აღქმული იყოს ხელისუფლების მცდელობად, ხელი შეუშალოს დემოკრატიულ პროცესებს და ებრძოლოს არა COVID-19-ის გავრცელებას, არამედ - იმ საპროტესტო ტალღას, რომელიც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში აგორდა. არასამთავრობო

⁸¹ ტვ. „ფორმულას“ LIVE - დემონსტრანტები წყლისჭავლით ისევ დაშალეს: <https://bit.ly/3nfSyA8>.

⁸² იხ.: პოლიციის მიერ გავრცელებული ვიდეოებრივი, სადაც ჩანს, როგორ ისვრიან ქვებს წყალსატყორცნი მანქანის ეპნ აქციის მონაწილეები იმ ურთის, როდესაც წყლისჭავლის გამოყენება ხდება: <https://bit.ly/3oIEOyi>.

⁸³ იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში: „საპროტესტო აქციათა მონიტორინგის შედეგები“, 2020. გვ. 16-18 <http://hrdc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/ajciebis%20monitoring%20-geo-ff.pdf>

⁸⁴ იხ.: საქართველოს მთავრობის დაფლები ნე670 - „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. <https://bit.ly/3m6DtIV>.

ორგანიზაციების განცხადებით, ასეთ მცდელობას განსაკუთრებით მიანიშნებს ის ფაქტი, რომ კომენდანტის საათის მოქმედება გავრცელდა წინასაარჩევნო კამპანიაზეც (აგიტაციაზე), მაშინ როდესაც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული სხვა შემთხვევებისგან გამონაკლის წარმოადგენდა⁸⁵.

2020 წლის 24 ნოემბერს ნორვეგიის პელსინგის კომიტეტმა და ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელეს განცხადება⁸⁶, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი შემთხვევები გადაადგილების თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენს. შემთხვევები, ასევე, საფრთხეს უქმნის მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციას და არაპირდაპირ ბლუდავს მას. არსებული კანონმდებლობით, საქართველოს მთავრობას არ აქვს უფლება, შემთხვეობის მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება ამ პირობებში. ამ შემთხვევების მიღების დრო და ხასიათი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი შემოღებულია გაზრდილი საპროტესტო მუხლის ჩასახშობად⁸⁷.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქართველოს მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს. აგრეთვე, დაშვება იმისა, რომ საქართველოს მთავრობას შეუძლია, განსხვავებულად მოაწესრიგოს ნორმატიული აქტის მიღებისა და გამოქვეყნების წესები, მნიშვნელოვნად არყევს სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციურ პრინციპს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის მიერ კომენდანტის საათის ერთპიროვნულად, საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობის გარეშე დაწესება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაა.

შემთხვევის საკანონმდებლო საფუძვლად მითითებულია „საზოგადოებრივი კანონთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³-ე მუხლი⁸⁸, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 22 მაისს დაჩქარებული წესით მიიღო, რათა საქართველოს მთავრობას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაც ჰქონდა საფუძველი, შეებლუდა ადამიანის მთელი რიგი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკიდრებულ სტანდარტებს. ასევე, აღმასრულებელ ხელისუფლებას თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად

⁸⁵ იხ.: საქართველოს მთავრობის დაფენილება №670 - „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. <https://bit.ly/3m6DtIV>

დამატებით იხ. GDI, ISFED, HRC და TI-ის განცხადება კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით. <https://bit.ly/345BZY>

⁸⁶ იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ნორვეგიის პელსინგის კომიტეტის ერთობლივი განცხადება საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20285&lang=geo>

⁸⁷ იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ნორვეგიის პელსინგის კომიტეტის ერთობლივი განცხადება საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. <https://bit.ly/39VYk6g>.

⁸⁸ იხ.: „საზოგადოებრივი კანონთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³-ე მუხლი. <https://bit.ly/2K61oIB>.

გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური მოთხოვნების და საერთაშორისო სტანდარტების საპირისპიროდ, საქართველოს მთავრობამ ფაქტობრივად ჩაანაცვლა საკანონმდებლო ორგანო და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევით, შემოიღო ახალი, მაღალი ინტენსივობის შეზღუდვა, რომლის მიმდინარე/დაგეგმილ მანიფესტაციებზე გავრცელებამ კიდევ უფრო გაამწვავა საქართველოში არსებული დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა.

♦ თანასწორობის უფლება

თანასწორობის უფლების დაცვის პრობლემა, გასული წლების მსგავსად, დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. 2020 წელი ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა, ერთი მხრივ, პანდემიის გამო შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ, საპარლამენტო არჩევნებისა და შექმნილი პოლიტიკური კრიბისის კონტექსტში. სახელმწიფოს მხრიდან, მთელი რიგი პოზიტიური ვალდებულებების შესრულებლობა აძლიერებს საზოგადოებაში არასწორი სტრუქტიპებით წარმოშობილ სტიგმასა და დისკრიმინაციას.

2020 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის და უმცირესობებისთვის. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფების საჭიროებები და მათი უფლებების დაცვა არც პოლიტიკურ პარტიათა წინაასარჩევნო პროგრამებში და არც კამპანიის დღის წესრიგში არ მოხვედრილა.

ქალთა მიმართ და ოჯახში ქალადობა

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა მსოფლიოს დიდ გამოწვევად რჩება. კრიზისის დროს, მათ შორის - პანდემიის პიროვნებებში, მსგავსი ტიპის ძალადობის ზრდის ტენდენცია სხვადასხვა კვლევებით დასტურდება⁸⁹. ამასვე მოწმობს, Covid 19-ით გამოწვეული პანდემიის პიროვნებებში, მსოფლიოს მასშტაბით, ოჯახში ძალადობის შემთხვევების ერთი მესამედით გაზრდაც⁹⁰.

საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა წლების განმავლობაში მწვავე პრობლემად რჩება. 2018 – 2019 წლებში ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი

⁸⁹ იხ. "COVID-19 და ქალთა მიმართ ძალადობა" მსოფლიო განვითარების ორგანიზაცია (WHO), 26 მარტი, 2020. [COVID-19 and violence against women](#) და "COVID-19 და გოგონათა და ქალთა მიმართ ძალადობის დასრულება", UN Women, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nPRFqg>.

⁹⁰ იხ. გაერთანაციურული ერგების ორგანიზაციის გენერალური მდგრანის - ანტონიო გუტიარეშის 2020 წლის 6 აპრილის განცხადება: <https://news.un.org/en/story/2020/04/1061052> [ზოლო ნახვა: 26/12/2020].

ასევე, იხ. [COVID-19: Stopping the rise in domestic violence during lockdown | News](#), ევროპარლამენტი, 7 აპრილი, 2020.

ყველაზე გავრცელებული დანაშაული სწორედ ოჯახში ძალადობა იყო⁹¹. ეს კი, იმ ფონზე, როცა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, მსხვერპლთა მიმართვიანობა ვერ ასახავს პრობლემის რეალურ მასშტაბს⁹².

ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაცემებით, პანდემიის პირობებში, საქართველოში ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იმატა⁹³. მიუხედავად ამისა, შსს-ს 2020 წლის აპრილში გავრცელებულ განცხადებაზე დაყრდნობით, საქართველოში ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების 8რდა არ შეინიშნებოდა⁹⁴.

კრიზისის პირობებში, შსს-მ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, გარკვეული აქტივობები განახორციელა. მაგალითად - ცნობიერების ამაღლების კამპანია, როგორც ძალადობაზე რეაგირების ალტერნატიული მეთოდების შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხით, ისე მოკლე ტექსტური შეტყობინებით მოსახლეობის ინფორმირებით (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენებზეც), ასევე, ცალკეულ სააფთიაქო და სასურსათო ქსელებში შესაბამისი საინფორმაციო განცხადებების განთავსებითა და ა.შ. თუმცა, ცალკეული ფრაგმენტული მცდელობების მიუხედავად, არსებულ პრობლემაზე სრულყოფილი რეგირება არ მომხდარა, რაც შესაბამისი სერვისების, მათ შორის - დროებითი თავშესაფრების რაოდენობის გაზრდასა და მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში უნდა ასახულიყო, ასევე - დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული თანხების გაზრდასა და სხვა პროაქტიულ მოქმედებებში.

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა როგორც საქართველოს მთავრობის⁹⁵, ისე საქართველოს პროკურატურის⁹⁶ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. თუმცა, ბოლო წლებში ამ სახის დანაშაულთა პრევენციისთვის გატარებული ღონისძიებების მიუხედავად⁹⁷,

⁹¹ იხ. შსს, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა: <https://info.police.ge/page?id=115>.

⁹² იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეფექტური მუნიციპალიტეტის ანგარიში, ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, 8 თებერვალი, 2019 წელი.

ხელმისაწვდომი: https://sao.ge/files/auditii/auditis_angarisheba/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf.

⁹³ იხ. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკონტროლო მომუშავე ორგანიზაციების მიმართვა სახელმწიფოუნიტების ხელმისაწვდომია: <https://phr.ge/publication/statement/100?lang=geo>

⁹⁴ იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 3 აპრილის განცხადება:

<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saminstro-agrdzelebs-odjakhshi-dzaladobis-tsinaaghmdeg-eftqian-brdzolas/13440>

⁹⁵ იხ საქართველოს მთავრობის N 175 დადგენილება:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4144947?publication=0>

⁹⁶ იხ. საქართველოს პროკურატურის 2017-2020 წლების სტრატეგია:

<http://old.pog.gov.ge/res/docs/saqartvelosprokuraturirsstrategia.pdf>

⁹⁷ იხ. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის

პროკურატურისთვის კვლავ მწვავე გამოწვევაა ამ კატეგორიის საქმეებზე ეფექტური და სრულყოფილი სისხლისამართლებრივი დევნა და გამოძიება. პროკურორებისთვის კვლავაც სირთულეს წარმოადგენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულის შემთხვევებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა. ამის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ნაკლებობაა. ამ მხრივ სისტემისთვის კვლავ პრობლემად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე სპეციალიზებული პროკურორების არასაკმარისი რაოდენობა⁹⁸.

შვა პირები

2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შემდგენული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ⁹⁹“ საქართველოს კანონი. ამ ტიპის კანონს უნდა უზრუნველყო გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რეცეფცია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში და შეექმნა ისეთი ინსტიტუციური მექანიზმები, რომელიც გაზრდიდა შშმ პირთა უფლებების დაცვისთვის აუცილებელ გარანტიებს.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მოქმედი რედაქცია¹⁰⁰ რამდენიმე პოზიტურ ცვლილებას ითვალისწინებს, როგორიცაა - შშმ პირების ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის მოთხოვნა, შშმ პირების ხელშეწყობა სამართალწარმოებისას, სპეციალური მოსარჩელის განმარტება, ასევე გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის ცნებები. თუმცა, ამ სიახლეების დეკლარაციული ხასიათი, მათი ხარვეზიანობა და, რიგ შემთხვევებში, კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამობა, ვერ პასუხობს ამ კვეთის წინაშე არსებულ გამოწვევებს და გარკვეულწილად აუარესებს მათი უფლებების დაცვის სტანდარტს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ კანონპროექტის შემუშავების პროცესში ეფექტურიანად ჩართული არ ყოფილან შშმ პირები და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, რის გამოც ვერ მოხერხდა ამ თემის წინაშე არსებული რეალური პრობლემების მოგვარების დაგეგმვა საკანონმდებლო დონეზე¹⁰¹. კანონის მოქმედი რედაქცია ვერ უზრუნველყოფს შშმ პირთა უფლებების დაცვის რეალურ გარანტიას, რამდენადაც იგი არ ითვალისწინებს კონვენციის იმპლემენტაციის ეფექტური გზებს. ქვეყანაში კვლავაც არ არის განსაზღვრული სახელმწიფო უწყება,

⁹⁸ მონიტორინგის წლიური ანგარიში: <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/9980evaw.pdf>.

⁹⁹ საქართველოს პროკურატურის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შეალებული ანგარიში (2017-2018 წლები), გ.ვ. 55-56, IDFI, 2019

იბ. https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/PrIME/report_29_october_2019_GEO_full_document.pdf

¹⁰⁰ იბ. შემდგენული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ” საქართველოს კანონი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=0>

¹⁰¹ იბ. იქვე.

იბ. შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებია და აქტივისტების გამოხმაურება “შშმ პირთა უფლებების შესახებ” კანონპროექტთან დაკავშირებით: <https://bit.ly/3nNFeTW>

რომელმაც უნდა უზრუნველყოს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის განხორციელების კოორდინაცია¹⁰². ამასთან, პრობლემურია ამ კონვენციის ფაკულტატური ოქმების რატიფიცირების საკითხი, რაც შშმ პირთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია და უფლებადარღვევის ფაქტებზე გაეროს შესაბამის კომიტეტისთვის მიმართვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. კანონმა გვერდი აუარა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და დეინსტიტუციონალიზაციის საკითხს, ყურადღების მიღმა დატოვა სამართლებრივი ქმედუნარიანობისა და გადაადგილების, აზრისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების საკითხი.

კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიღებული საგანგებო ზომები განსაკუთრებით ნეგატიურად აისახა შშმ პირებზე. კარანტინისა და იზოლაციის პირობებში, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვები ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების შეჩერებამ ოჯახებისთვის შეუძლებელი გახდა სახლის პირობებში სათანადო ზრუნვის განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვნად შეფერხდა რეაბილიტაციის პროცესი.

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისულმა გეგმამ ყურადღების მიღმა დატოვა შშმ პირთა დიდი ნაწილი, რამდენადაც გეგმით წარმოდგენილი სოციალური ბენეფიტით მოსარგებლედ მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შშმ ბავშვები განისაზღვრნენ.

LGBT+ ადამიანების უფლებრივი მდგრადირობა

LGBT+ ადამიანები, გასული წლების მსგავსად, საქართველოში მუდმივად ხდებიან გენდერული ძალადობის მსხვერპლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის არსებული ისედაც ცოტა მექანიზმები, არ ითვალისწინებს LGBT+ თემის წინაშე არსებულ სპეციფიურ გამოწვევებს.

პანდემიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად დაწესებული საყოველთაო კარანტინისა და შეზღუდვების ფონზე, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ამ თემის წინაშე არსებული პრობლემები და საჭიროებები. კრიზისით გამოწვეული დასაქმების შეუძლებლობა (მაშინ, როცა ლგბტ+ თემისთვის სხვადასხვა სფეროში დასაქმება კრიზისის გარეშეც გართულებულია), უსახლკარობა, ძალადობის გაზრდილი რისკები და სხვა სოციალური და ეკონომიკური საჭიროებები მთავრობის მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმაში ვერ მოხვდა.

კრიზისის პირობებში, განსაკუთრებული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ

¹⁰² იქვე.

ტრანსგენდერი ადამიანები, რომელთა მიმართ საზოგადოებაში არსებული განსაკუთრებით წევატური დამოკიდებულებისა და სტიგმატიზაციის გამო, უმუშევრობა, გარიყება, სხვადასხვა მომსახურებაზე უარის თქმა, ძალადობა და მარგინალიზება ყოველდღიურობადაა ქცეული. სახელმწიფო პოლიტიკა, მათ შორის ანტიკრიზისული გეგმა საერთოდ არ ითვალისწინებდა იზოლაციის პირობებში მყოფი ტრანსგენდერებისთვის დახმარების გაწვევას. 2020 წელს, ტრანსგენდერმა ადამიანებმა რამდენჯერმე დააორგანიზეს პროტესტი, სოციალური მოთხოვნებით. ერთ-ერთ მათგანზე კი, პროტესტის ნიშნად, ტრანსგენდერმა ქალმა თავი დაიწვა და ამ ფორმით შეეცადა ხელისუფლებამდე მიეწვდინა ხმა¹⁰³.

მართალია, ბოლო წლებში გაიზარდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სახელმწიფო უწყებების რეაგირება, მაგრამ იგი კვლავ არასაკმარისია და ვერ პასუხობს იმ მძიმე გამოწვევას, რომლის წინაშეც ეს თემი დგას. სულ უფრო რთული ხდება ამ თემის წარმომადგენელთა მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზება. ამასთან, 2020 წლის მაისში რამდენჯერმე დაფიქსირდა თადასხმა „თბილისი პრაიდის“ ოფისზე, რაც სამართალდამცავთა მიერ ეფექტურ რეაგირებას საჭიროებს¹⁰⁴.

სამწუხაროო, საქართველოში კვლავ არ არსებობს ერთიანი პრევენციული და სამართლებრივი მიდგომები, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ხშირად არ ისმის თანასწორობისა და ადამიანის უფლებების განუხრელ პატივისცემაზე დაფუძნებული მოწოდებები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში. მიუხედავად ამისა, ლგბტ+ თემის პრობლემები, არაპოპულარულობის გამო, კვლავ ვერ მოხვდა პოლიტიკური პარტიების დღის წესრგიგში.

რელიგიის თავისუფლება

2020 წელს, პანდემიისა და საპარლამენტო არჩევნების ფონზე, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ხელისუფლების აშკარა დისკრიმინაციული მიდგომა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციებისადმი¹⁰⁵ და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი განსაკუთრებული ლოიალობა.

პანდემიის საწინააღმდეგოდ მიღებული საგანგებო ზომების მოქმედებისას და წინაასაარჩევნო პერიოდში, 2020 წლის 22 მაისს, საქართველოს პარლამენტმა სხვადასხვა ნორმატულ აქტში განახორციელა ცვლილებები, რომელთა ინიციატორი საქართველოს მთავრობა იყო. ცვლილებები შეეხო „სახელმწიფო ტსკიშვილზე“:

¹⁰³ იხ. ვრცლად: <https://jam-news.net/ge/saqartvelo-transgenderi-koronavirusi-dakhmareba/>

¹⁰⁴ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/38aNIOM>

¹⁰⁵ იხ. რელიგიური გაერთიანებების განცხადება: <https://tabula.ge/ge/news/658028-religiuri-gaertianebebi-tsikitishvilze-ar>

ქონების „შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე პარლამენტმა მიიღო „საქართველოს ტყის კოდექსი“, რომლის დიდი ნაწილიც ძალაში 2021 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ცვლილებების თანახმად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ექსკლუზიურად ენიჭება უფლება, საკუთარი განცხადებითა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის შუამდგომლობით, გადაეცეს ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყეთა ფართობები (თითოეულ შემთხვევაში არაუმეტეს 20 ჰექტარისა), აგრეთვე - მიჩნილი ტერიტორიები (მასში იგულისხმება ტყის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, თუმცა, სახელმწიფოსთან ერთად, მას საქართველოს საპატრიარქო მართავს¹⁰⁶). მართლმადიდებლური ეკლესის უმაღლესი სასულიერო პირების მთელი რიგი განცხადებები და წინასარჩევნო პერიოდში მმართველი გუნდის სასარგებლოდ რეგიონებში მათი განსაკუთრებული აქტიურობა, პირდაპირ მიანიშნებს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში საპატრიარქოს აქტიურ ჩართულობაზე, რის სანაცვლოდ, ყოველი ხელისუფლება ე.წ. პოლიტიკურ ხარჯს იხდის. ახალი კანონით მინიჭებული პრივილეგიები ეხება მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, რითაც ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაარღვია კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობისა და სეპულარიტის პრინციპი¹⁰⁷.

1 როვნელი უაღირესობები

საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა 2020 წელს ახალი კორონავირუსის - Covid19-ის გავრცელების გამო შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ და მის საწინააღმდეგოდ მიღებულმა სპეციალურმა ზომებმა.

პანდემიის პირობებში, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების წერტილოვანი ჩაკეტვის გამო, ამ რეგიონებში შექმნილ სოციალურ კრიზის ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი მოჰყევა¹⁰⁸. ამას თან ერთვოდა ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიმართ სიძულვილის ენის ტალღა, რის პროვიციებასაც არასწორი მედიაგაშუქება და განსაკუთრებით - სოციალური ქსელები ახდენდა¹⁰⁹, რასაც არ მოჰყოლია ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური რეაგირება, არც სოციალური კრიზისის განმუხტვის და არც თანასწორობის მხრადამჭერი მოწოდებების თვალსაზრისით. ამ პროცესში განსაკუთრებით დამაბარალებელი იყო ცალკეულ საჭარო პირთა ქსენოფონბიური განცხადებები,

¹⁰⁶ იბ. „საქართველოს ტყის კოდექსის“ (22/06/1999) მე-17 მუხლის პირველი ნაწილი

¹⁰⁷ იბ. <http://tdi.ge/ge/page/tolerantobis-da-mravalperovnebis-institutis-tdi-da-tbilisis-tavisupali-universitetis> [ბოლო ნახება 12.16.2020].

¹⁰⁸ იბ. ვრცლად: <https://1tv.ge/news/marneulshi-mosakhleobis-nawili-sagangebo-mdgomareobas-aprotestebs/>

¹⁰⁹ იბ. ვრცლად: <http://notophobia.ge/geo/view-resources/statements/68>,

რომელთა ნაწილიც ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა¹¹⁰. კრიზისმა კიდევ ერთხელ ცხადყო სახელმწიფოს არაეფექტური პოლიტიკა უმცირესობათა უფლებების დაცვისა და არსებული გაუცხოების აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოში კვლავ დაბალია ეროვნული უცირესობების მონაწილეობა ნებისმიერ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში¹¹¹. პანდემიით შექმნილმა კრიზისმა კიდევ უფრო გაართულა ეროვნული უმცირესობებისთვის განათლების უფლების ეფექტური რეალიზება და არსებული გამოწვევების პირებებში კიდევ უფრო არაეფექტურიანი გახდა არსებული სერვისები თუ პროგრამები, რამაც ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო შეასუსტა.

2020 წელს ეროვნულ უმცირესობათა თემში წარმოშობილი პრობლემების მოგვარების ძირითადი იარაღი ხელისუფლებისთვის კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩართულობა და რეპრესიული პოლიტიკა იყო. ამის ნათელი მაგალითია ქ. მარნეულში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ბოლშევიკი რევოლუციონერისა და მწერლის - ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის აღდგენის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, რომლის საწინააღმდეგო კამპანიას სათავეში სხვადასხვა ულტრანაციონალურ ჯგუფებთან ერთად, მარნეულისა და ჟუკაბის ეპისკოპოსი ედგა¹¹². ხელისუფლებამ, კონფლიქტის განსამუშავდ მხოლოდ ის მოიფიქრა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა რასობრივი დისკრიმინაციის მუხლით გამოძიება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, სხვა პირებთან ერთად, ადგილობრივი აქტივისტებიც გამოიკითხნენ.

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემო ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებულად დაძაბული იყო. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში კლანობრივი დაპირისპირებები და ძალადობრივი ქმედებები წინასაარჩევნოდ არაერთხელ მოხვდა საზოგადოებისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებსა და რეგიონში მცხოვრებ არაფორმალურ მმართველთა კლანური კონფლიქტები რამდენჯერმე გადაიზარდა ხელჩართულ დაპირისპირებაში. 2020 წლის 26 მარტს მომხდარი, ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების ამსახველ ვიდეოჩანაწერში¹¹³ წათლად ჩანს „ქართული ოცნების“ იმ დროს მოქმედ დეპუტატ ენგელ მკოიანსა და ყოფილი დეპუტატის საფელ პეტროსიანის ახლობლებს შორის მომხდარი დაპირისპირება, რა დროსაც მკოიანი ცეცხლსასროლ იარაღს იყენებს. მიუხედავად ამისა, არც 26

¹¹⁰ იხ.: <http://notophobia.ge/geo/view-resources/statements/67>

¹¹¹ იხ. საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის კლევეტის შედეგები. 2019 წ. <https://osqf.ge/kvlevis-shedegebi-etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-shesakheb/>

¹¹² იხ. ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/468188/>

¹¹³ იხ. ვრცლად: <https://www.facebook.com/watch/?v=1720066588133618> [ზოლონახვა: 16/12/2020]

მარტის და არც სხვა დაპირისპირებების¹¹⁴ მთავარი ფიგურანტი ენზელ მკოიანი გამოძიებას არც კი დაუკითხავს. კოალიციამ „თანასწორობისთვის“ სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა შესაბამისი რეგიონებისკენ, მაგრამ - უშედეგოდ¹¹⁵.

კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებები

იძულებით გადაადგილებულ პირთა განსაკუთრებული პრობლემა ისევ სიღატაკე და ნორმალური საცხოვრებელი პირობების არარსებობაა. პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, რაც ამ თემში ისედაც მაღალ უმუშევრობასა და სოციალურ გათიშულობას კიდევ უფრო ამძიმებს.

გასული წლების მსგავსად, სახელმწიფოში კვლავ არ არსებობს თანმიმდევრული პოლიტიკა ე.წ. წგრევადი ობიექტებიდან დევნილთა განსახლებასთან დაკავშირებით. კვლავაც ჭიათურდება თბილისში დევნილთა გრძელვადიანი განსახლებაც.

2020 წელს, პანდემიის კრიზისის პირობებშიც, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმისა და რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ კვლავ გრძელდებოდა ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიიდან ადამიანების უკანონო გატაცებები.

2020 წელს, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მთავრობამ ე.წ. ოჯახების გაერთიანების პროგრამა დაიწყო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრებ ოჯახის წევრებთან გადასახლებას და შესაბამისად, ახალგორში საკუთარი საცხოვრებლის სამუდამოდ დატოვებას გულისხმობს. წლების განმავლობაში, რუსული საოკუპაციო ძალებისა და ადგილობრივი დე-ფაქტო რეჟიმის პოლიტიკა ეთნიკურად ქართული მოსახლეობისთვის არასასურველი გარემოსა და უმძიმესი პირობების ხელოვნურად შექმნას ისახავს მიზნად, რაც ეთნიკური წმენდის ნიშნებს შეიცავს.

¹¹⁴ იხ. ვრცლად: <https://mtavari.tv/news/4322-siskhliani-garcheva-akhalkalakshi-isev-enzel>

¹¹⁵ იხ. ვრცლად: <https://osqf.ge/koalicia-tanasworobistvis-deputati-enzel-mkolianis-mimart-qamodziebis-dawyebas-itkhovsi/>

◆ პენიტენციური დაწესებულებებში

პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებრივი მდგრადი მოვალეობის გაუარესება 2020 წელს პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა განაპირობდა. უსაფრთხოებისა და ჰანძლთელობის დაცვისთვის აუცილებელი ზომების მიღებით, პატიმართა გარესამყაროსთან კომუნიკაცია მნიშვნელოვნად შეფერხდა, აიკრძალა პირადი ვიზიტები, პაემნები და ა.შ., ასეთი შეზღუდვები მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

დადებითად უნდა შეფასდეს ხელისუფლების სწრაფი და ეფექტური რეაგირებითა და შესაბამისი ზომების მიღებით, პენიტენციურ დაწესებულებებში ვირუსის გავრცელების შეგავება, მაგრამ ამავდროულად, ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიიღოს დამატებითი ზომები პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის.

2020 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ პრობლემაა კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის უკანონო პრაქტიკა, რაც პატიმართა მოწყვლადობასა და მათი უფლების დარღვევის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის, განსაკუთრებით - პანდემიის პირობებში, როცა საზოგადოებრივი კონტროლი პენიტენციურ დაწესებულებებზე მნიშვნელოვნად შესუსტებულია, ობიექტური ფაქტორების გამო. ამ მანვიური პრაქტიკის მძიმე შედეგებზე მიეთითებს ე.წ. პრივილეგირებული პატიმრების მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენელთა შეურაცხყოფა და მისი საქმიანობისთვის ხელშეშლის მცდელობის ფაქტი¹¹⁶.

კვლავ პრობლემურია მაღალი თანამდებობის პირთა მიერ სახალხო დამცველის საქმიანობის დისკრედიტაცია და ხელშეშლის მცდელობა, რაც 2020 წელს იუსტიციის მინისტრის, თეა წელუკიანისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან სახალხო დამცველისა და მისი წარმომადგენლების პატიმრებთან ვიზიტების ამსახველი ვიდეომასალისა და ინფორმაციის არაერთგზის უკანონოდ გასაჭაროებასა და დისკრედიტაციული შინაარსის განცხადებებში გამოიხატა.

¹¹⁶ იხ. ვრცლად: <https://www.facebook.com/OmbudsmanofGeorgia/posts/3354056561298516/>

◆ მადიპარებობა

საქართველოში მედიაგარემო 2020 წელსაც პლურალისტური, მაგრამ უკიდურესად პოლარიზებული იყო, როგორც საპარლამენტო არჩევნების წინ, ისე მის შემდგომ პერიოდში. წინასარჩევნო პერიოდში კიდევ უფრო იჩინა თავი ურნალისტთა მიმართ ძალადობის, კრიტიკული მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისა და ზეროლის მცდელობებმა, ასევე - ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ხარვეზებმა, დეზინფორმაციის გავრცელებამ და მედიის ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტებმა.

პანდემიის პირობებში მედიის კრიტიკული როლი უდაგოა, რადგან საზოგადოებისთვის ზუსტი, ობიექტური, დროული და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდება ვირუსის შეკავებისა და საზოგადოებრივი ჭანმრთელობის დაცვისთვის უმნიშვნელოვანესია. ცხადია, მოვლენათა განვითარების სისწრაფემ ურნალისტების საქმიანობა მეტად გაართულა. ამის მიუხედავად, ურნალისტები საკუთარი ჭანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად, თითქმის 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, რითაც დიდი როლი შეასრულეს ვირუსის გავრცელების შეკავებაში, განსაკუთრებით - პანდემიის საწყის ეტაპზე. ყველა წამყვანი მედიასაშუალება ხელს უწყობდა ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებული ფაქტების პროფესიონალურ და ზუსტ გაშუქებას. ვირუსის თაობაზე მსოფლიოში მომატებული დეზინფორმაციის გამო შექმნილი რისკების გათვალისწინებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს ურნალისტური ეთიკის ქარტიის¹¹⁷ ეფექტური მუშაობა და მცდელობა საფრთხეების მინიმალიზაციისთვის.

2020 წელს საქართველოში მედიაგარემობე ასევე მნიშვნელოვნად იმოქმედა საპარლამენტო არჩევნებმა. ტრადიციულად, არჩევნების წინა პერიოდში, საქართველოში მატულობს ურნალისტებზე ძალადობისა და მათი დაშინების, ასევე - სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისა და საჭარო პირების მიერ მედიის რეპუტაციის შელახვის მცდელობები. სამწესაროდ, ამ მხრივაც, 2020 წელი განსაკუთრებული გამოწვევებით გამოირჩეოდა.

პრობლემურ საკითხთა შორის იყო ხელისუფლების მხრიდან ურნალისტებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვები. პანდემიის პირობებში გაუარესდა საჭარო ინფორმაციაზე წვდომა.

სამწესაროდ, ქართულ მედიაში კვლავ გამოწვევად რჩება ეთიკური მედიის სტანდარტების დაუცველობა და ინფორმაციით მარიპულირება. მედიასაშუალებებში

¹¹⁷ „Covid 19 - სახელმძღვანელო ურნალისტებისთვის”, ურნალისტური ეთიკის ქარტია: <https://www.gartia.ge/ka/covid>

თვითრეგულირებისა და ურნალისტური ეთივის დაცვის დეფიციტი ზრდის ხელისუფლების მიერ მედიის საქმიანობის კონტროლისა და დამატებითი რეგულაციების დაწესების რისკებს.

პრაგნოსტიკის პოსიტის საქმიანობა

მას შემდეგ, რაც მუშაობა დაიწყო კომუნიკაციების კომისიამ¹¹⁸, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფო ორგანომ, რომელიც ფორმალურად თავისუფალია პოლიტიკური და სახელმწიფო ჩარევისაგან, მისი გადაწყვეტილებები თითქმის ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრიტიკის საგანს და მუდმივად კითხვის ქვეშ დგას კომისიის საქმიანობის რეალური დამოუკიდებლობა¹¹⁹.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, კერძოდ - ივლისში, კომუნიკაციების კომისია გამოვიდა ინიციატივით¹²⁰, ცვლილებები შესულიყო „მაუწყებლობის შესახებ“¹²¹ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“¹²² საქართველოს კანონებში.

წარმოდგენილი ცვლილებების ვერსია ითვალისწინებდა კომუნიკაციის კომისიისთვის ე.წ. „სპეციალური მმართველის“ დანიშვნის შესაძლებლობას სატელეკომუნიკაციო ოპერატორ კომპანიებში. საქართველოში მოქმედი მაუწყებლების დიდი ნაწილი რადგან ამავდროულად წარმოადგენენ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს, ცვლილებები პირდაპირ შეეხებოდა ყველა იმ მაუწყებელს, რომლებიც თავად არიან სატელეკომუნიკაციო ოპერატორები. ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტი არ იცნობდა სათანადოდ გასაჩივრების მექანიზმებსაც.

ამდენად, ცვლილებები კომუნიკაციის კომისიას უქმნიდა ბერკეტს, რითაც შესაძლებელი გახდებოდა გავლენის მოხდენა დამოუკიდებელი მედიის სარეაქციო პოლიტიკაზე, ინტერნეტზე, სარეკლამო მომსახურებებზე, მედიის მიერ რეკლამის გავრცელებასა და ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დასაქმება და შრომითი უფლებები სატელეკომუნიკაციო და სამაუწყებლო კომპანიებში.

აქედან გამომდინარე, კომისიის ინიციატივას თავიდანვე კრიტიკულად

¹¹⁸ ინფორმაცია კომუნიკაციების კომისიის შესახებ: <https://comcom.ge/ge/the-commission/about-commission>

¹¹⁹ იხ. მედიის გავლენის მატრიცა, საქართველო, CEU's Center for Media, Data and Society (CMDS, Budapest, 2020). ხელმისაწვდომია ინციდენტების წარადგინება: <https://bit.ly/38nu4QD>; ასევე - საქართველოს პარლამენტის დოკუმენტით საგმომიშიბო კომისიის დასკვნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესახებ, 2014 წლის 7 მარტი: <https://bit.ly/3s5ZxI4> ბოლო ნახვა: 10/12/2020

¹²⁰ იხ. კომუნიკაციების კომისიის საპარლამენტო ინიციატივა: <https://info.parliament.ge/#law-drafting/20679>

¹²¹ მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59>

¹²² იხ. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/25480?publication=0>

შეხვდნენ როგორც მაუწყებელები, ისე ტელეკომუნიკაციების სფეროს წარმომადგენლები¹²³ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები¹²⁴.

საბოლოოდ, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ძალისხმევით, კანონპროექტის პირვანდელ ვერსიაში შევიდა ისეთი ცვლილებები, რამაც აღნიშნული რისკები მაქსიმალურად დააზღვია¹²⁵.

წინასაარჩევნო პერიოდში კომუნიკაციების კომისიის მიერ სადაცო გადაწყვეტილების რიცხვმა მაქსიმალურად იკლო, მაგრამ მისი საქმიანობის ირგვლივ არსებული კითხვები კვლავ არსებობს, რაც აქტუალურს ტოვებს ამ უწყების შემდგომი მოდიფიკაციისა და მისი მარეგულირებელი აქტების დახვეწის საკითხს.

დეზინფორმაცია და ფინანსი

ბოლო წლებში, რუსული დეზინფორმაციის გავრცელების გარდა, ქართულ მედიასივრცეში, განსაკუთრებით კი - სოციალურ ქსელებში, ე.წ. ბოტებისა და ტროლების მეშვეობით, გახშირდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მცდელობები, პოლარიზაციისა და ოპონენტთა დისკრედიტაციის კამპანიები.

2020 წლის მაისში „ფეისბუკმა“ გამოავლინა პარტია „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებულ ონლაინ-პლატფორმასთან (Espersoona) დაკავშირებული 511 გვერდი, 101 ფეისბუკის ანგარიში, 12 ჯგუფი და 56 ინსტაგრამის ანგარიში¹²⁶. მმართველ ძალასთან დაკავშირებული ანგარიშების გარდა, „ფეისბუკმა“ გამოავლინა და წაშალა პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული 23 ანგარიში, 80 გვერდი, 41 ჯგუფი და 9 ინსტაგრამ ანგარიში¹²⁷. „ფეისბუკმა“, ასევე, წაშალა „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული ყალბი ანგარიშები¹²⁸.

რაც შეხება რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებულ ანგარიშებს, რომლებიც საქართველოშიც ახორციელებდნენ ცრუ ინფორმაციის ტირაჟირებას, „ფეისბუკის“ ოფიციალური განცხადებით¹²⁹, წაიშალა მსგავსი 46 გვერდი, 91 ანგარიში, 2 ჯგუფი და 1 ინსტაგრამ ანგარიში. „ფეისბუკის“ გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშულ მოქმედებათა უკან იდგნენ ადამიანები რუსეთიდან, უკრაინის დონბასის რეგიონიდან და ყირიმიდან. ფეისბუკის ცნობით, ყირიმს უკავშირდება პლატფორმიდან

¹²³ იხ. კოალიცია, „მედიის ადვოკატირებისთვის“ განცხადება: <https://bit.ly/2Ws8CTI> [ბოლო ნახვა: 19/12/2020]

¹²⁴ იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება: <https://bit.ly/3mBaeoI> [ბოლო ნახვა: 19/12/2020]

¹²⁵ იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა, 07/07/2020: <https://bit.ly/3p9FUu2>

¹²⁶ იხ. ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/350267>

¹²⁷ იქვე.

¹²⁸ იხ. ინფორმაცია: <https://civil.ge/ka/archives/380877>

¹²⁹ იხ. „ფეისბუკის“ განცხადება: <https://about.fb.com/wp-content/uploads/2020/05/April-2020-CIB-Report.pdf>

წაშლილი მედიაორგანიზაციების – News-Front¹³⁰ და SouthFront – ანგარიშებიც.

საქართველო კვლავ მოწყვლადია უცხო ქვეყნებიდან წამოსული ჰიბრიდული საფრთხის მიმართ. მისასალმებელია ფეისბუკის მცდელობა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, მნიშვნელოვანია, ამ მხრივ, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერის გაზრდა.

თბილისის მერის გალაშერება მედიის წინააღმდეგ

ქალაქ თბილისის მერია, რომელიც ამავე დროს სახელისუფლებო პარტიის გენერალური მდივანიცაა, ოპოზიციური პარტიების მიერ დეზინფორმაციისა და ყალბი ახალი ამბების გაფრცელების წინააღმდეგ კამპანიის წარმოება დააანონსა¹³¹. განცხადებას თან ახლდა პოსტერი¹³², რომელზეც სამი ოპოზიციურად განწყობილი ტელემაუწყებლის („მთავარი არხი“, „ტელეკომპანია პირველი“ და „ფორმულა“) სახელები იყო შეცვლილი და მის ნაცვლად დატანილი იყო წარწერები „მთავარი სიცრუ“, პირველი სიცრუ „და „სიცრუის ფორმულა“.

სამწუხაროდ, საჯარო პირებისა და პოლიტიკოსების მხრიდან ეს არ არის მედიასაშუალებების მარგინალიზების პირველი მცდელობა. დემოკრატიულ საზოგადოებაში მიუღებელია მაღალი თანამდებობის პირის მხრიდან ასეთი სახის შეტევა ოპოზიციურ ტელეარხებზე. მედიაპლურალიზმის ხელშეწყობისთვის, ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ მსგავსი ტიპის განცხადებებისაგან.

ურნალისტური საქმიანობის ხელშეკლა

მიუხედავად იმისა, რომ მედიასთან დაკავშირებული ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადია, ასევე - სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ ქმედებებისთვის, რაც ხელს უშლის უურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში, წლების განმავლობაში, კვლავ პრობლემურია კანონის აღსრულება პრაქტიკაში. სამართალდამცავები იშვიათად იყენებენ სისხლის სამართლის აღნიშნულ მუხლს. ამასთან, ხშირად ამ ნორმის არასწორად განმარტებასთან გვაქვს საქმე. ამ მუხლით დაწყებული გამოძიება კი მუდმივად ჭიანურდება. ყველაფერი ეს კვლავ ტოვებს დაუსკელობის განცდას და ბრდის მედიის წარმომადგენელთა მოწყვლადობას, რასაც ბოლო წლებში

¹³⁰ აღსანიშნავია, რომ "News-Front" საქართველოში კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გაფრცელებაში იქნა მხილებული. ამ საკითხზე, იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაცია ISFED-ის ანგარიში: <https://bit.ly/37B9pZ3>

¹³¹ იხ. თბილისის მერიის -კახა კალაძის ფეისბუკ მიმართვა: <https://bit.ly/3nEant8> [ბოლო ნახვა: 12/12/2020]

¹³² იხ. თბილისის მერიის კამპანიის პოსტერი: <https://bit.ly/3paUHxU> [ბოლო ნახვა: 12/12/2020]

უურნალისტებზე გახშირებული თავდასხმებიც ადასტურებს.

ურნალისტების ფიზიკური შეურაცხვოვა

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქებისას დაფიქსირდა მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის ფაქტები. არჩევნების დღეს ონლაინგამოცემა Publika.ge-ს უურნალისტებს თავს დაესხა კაცი გლდანის საარჩევნო უბანზე¹³³. ინციდენტის შედეგად დაზიანდა უურნალისტიც და მისი კამერაც. ინციდენტისას დაზიანდა „ტელეკომპანია პირველის“ უურნალისტიც, რომლის განმარტებითაც, გლდანის საარჩევნო უბანზე დაპირისპირებისას მას სახეში კამერა მოხვდა¹³⁴.

ონლაინგამოცემა on.ge-ს უურნალისტის კამერას ხელი ჩაარტყა და საქმიანობაში ხელი შეუძლა პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრმა, რომელიც იარაღით გადაადგილდებოდა მარნეულის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე¹³⁵.

2020 წლის 8 ნოემბრის საპროტესტო აქციის გაშუქებისას, ტელეკომპანია „იმედის“ უურნალისტებს თავს დაესხა უცნობი მამაკაცი, რომელიც ტელეკომპანიის განცხადებით, მის დახრჩობას ცდილობდა. ამავე განცხადების თანახმად, ტელეკომპანიის მეორე უურნალისტებს საპროტესტო აქციის მონაწილეები მუშაობისას შეურაცხყოფას აყენებდნენ¹³⁶.

2020 წლის 29 სექტემბერს, სალამოს, მარნეულში, როდესაც უურნალისტები წინასაარჩევნო კამპანიას აშუქებდნენ, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის უურნალისტებს და ოპერატორებს თავს დაესხნენ და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა¹³⁷.

2020 წლის 30 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში მთავარი არხის დირექტორს, ნიკა გვარამიას თავს დაესხა რამდენიმე პირი, რის შედეგადაც მან ფიზიკური დაზიანება მიიღო¹³⁸.

2020 წლის აპრილში, ქალაქ ქუთაისში მდებარე სამების ეკლესიის წინამდღვარმა გაავრცელა ვიდეომიმართვა¹³⁹, რომელშიც იგი მოუწოდებდა მრევლს, დაეჭირათ „მთავარი არხის“ უურნალისტი და გაეკოჭათ, მას შემდეგ, რაც მან

¹³³ იხ. ვრცლად: <https://publika.ge/video-publikis-djurnalisti-fizikurad-gauswordnen-daumtvries-telefoni/>

¹³⁴ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3rczHbz>

¹³⁵ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2LK9b9I>

¹³⁶ იხ. ტელეკომპანია „იმედის“ 2020 წლის 9 ნოემბრის განცხადება: <https://bit.ly/3h1eYmF>

¹³⁷ იხ. ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/371666> და <https://formulanews.ge/News/37406>

¹³⁸ იხ. კოლოფია „მედიის ადგომაზე მედიის თვეზე“ განცხადება: <https://osgf.ge/nika-gvaramiaze-tavdaskhma-droulad-da-miukerdzoebiad-unda-ignes-gamodziebuli/>

¹³⁹ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3at5klq>

კრიტიკულად გააშექა ბზობის დღესასწაულის ჩატარება COVID-19-ის პირობებში¹⁴⁰.

2020 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „პირველის“ კორესპონდენტს ცესკოს მიმდებარე ტერიტორიაზე პირდაპირ ეთერში დაესხნენ თავს¹⁴¹.

სამწევაროდ, რიგ შემთხვევებში, ჟურნალისტთა წინააღმდეგ მიმართული ქმედებების კვალიფიკაცია არასწორად მოხდა. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია სამართალდამცავთა სწრაფი და ეფექტური რეაგირება, ქმედების ზუსტი სამართლებრივი კვალიფიკაცია და დამნაშავეთა დასკა, რათა ამას ჰქონდეს პრევენციული ეფექტი და დასრულდეს დაუსჯელობა. ამ გზით შესაძლებელი იქნება ქვეყანაში უსაფრთხო მედიაგარემოს შექმნა.

მუქარა უცხო სახელმწიფოდან

2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოში განვითარებული მოვლენების კონტექსტში¹⁴², ჟურნალისტმა გიორგი გაბუნიამ, საავტორო გადაცემა - „პოსტკრიტუმში“, ტელეკომპანია „რესტავი 2“-ის პირდაპირ ეთერში, უწმანური სიტყვებით მოიხსენია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი - ვლადიმერ პუტინი¹⁴³.

ერთი წლის თავზე - 2020 წლის ივნისში ცნობილი გაბუნიას მკვლელობის გეგმის შესახებ, რომლის სავარაუდო დამკვეთი იყო ჩეჩენეთის ლიდერი - რამზან კადიროვი¹⁴⁴. ქართველმა სამართალდამცავებმა პოტენციური მაგლელი მაღავე დაუკავეს¹⁴⁵. მუქარის რეალურობიდან გამომდინარე, ქართველ ჟურნალისტს დღემდე დაცვის თანხლებით უწევს გადაადგილება.

გიორგი გაბუნიას შესაძლო ლიკვიდაციის განზრახვა ადამიანის უფლებაზე მომუშავე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეფასდა როგორც საქართველოს დესტაბილიზაციის რუსული გეგმა¹⁴⁶.

ურნალისტთა ფარული მიყურადება

2020 წლის 29 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე სახელისუფლებო პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძე განაცხადა, რომ არჩევნების დღეს ოპოზიცია საარჩევნო უბნებზე არეულობის

¹⁴⁰ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2Kcfba>

¹⁴¹ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/37wuRvf>

¹⁴² იხ. ადამიანის უფლებაზარის ანგარიში: „20-21 ივნისის მოვლენები - სამართლებრივი ანალიზი“, 2019, <http://hrdc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrc2019/20-21%20ivnisi-qart.pdf>

¹⁴³ იხ. ვრცლად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30041838.html>

¹⁴⁴ იხ. რამზან კადიროვის განცხადება სოციალურ ქსელში: https://t.me/RKadyrov_95/642

¹⁴⁵ იხ. ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/384769>

¹⁴⁶ იხ. კოალიცია „მედია-ადგომატიკისათის“ და საქართველოს ეფროატლანტიკური კოალიციის განცხადებები: <https://osgf.ge/djurnalist-giorgi-gabunias-likidaciis-gegmis-shesakheb/>

მოწყობას გეგმავს, რის დასადასტურებლადაც მან ურნალისტსა და ოპოზიციის წარმომადგენელს შორის სატელეფონო საუბარის შინაარსი გაასაჭაროვა¹⁴⁷. მოგვიანებით, ურნალისტმა ნატო გოგელიამ, რომელიც კობახიძის განცხადებაში ფიგურირებდა, სატელეფონო საუბრის შინაარსის რეალურობა დაადასტურა¹⁴⁸.

ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველოში არასანქცირებული მიყურადების პრაქტიკის კვლავ არსებობა, მათ შორის - მედიის წარმომადგენლებისა და ოპოზიციური პარტიის ლიდერებისადმი. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნის მიუხედავად¹⁴⁹, ნატო გოგელიას მოსმენის ფაქტზე დამატებითი განმარტება არ გაუკეთებიათ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ფაქტით არც საგამოძიებო უწყებები დაინტერესებულან.

ცენზურა

საქართველოში მოქმედი მედიის თვითრეგულირების ორგანომ - ურნალისტური ეთიკის ქარტიამ, ტელეკომპანია „იმედს“ ურნალისტური ეთიკის ქარტის მე-2 პრინციპის დაარღვევა დაუდგინა, რაც გულისხმობს ურნალისტების სარეაციო დამოუკიდებლობაში ჩარევას, ურნალისტის იძულებას, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ. განმცხადებლების განმარტებით, 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში, ნიკოლოზ ლალიაშვილმა, რომელსაც მაშინ „იმედის“ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა, გადაცემის თანამშრომლებს რამდენჯერმე უთხრა, რომ მას ტე „მაესტროზე“, რომელიც მაშინ „იმედის“ ჰოლდინგში შედიოდა, „ბიზნეს სიახლეების“ მიერ მომზადებული ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სიუჟეტები არ მოსწონდა. ნიკოლოზ ლალიაშვილის წინააღმდეგ საჩივრით „ურნალისტური ეთიკის ქარტიის“ საბჭოს ამავე გადაცემის ხუთმა ყოფილმა ურნალისტმა მიმართა. მათი განცხადებით, ლალიაშვილმა პრაქტიკულად გასცა დირექტივა, თუ როგორი უნდა გამხდარიყო გადაცემა და ვისი ინტერესების სასარგებლოდ ემუშავა მთლიანად რედაქციას. მას შემდეგ კი, რაც მხარეები საკითხზე ვერ შეთანხმდნენ, 2020 წლის 28 თებერვალს „ბიზნეს სიახლეები“ ეთერში ბოლოჲერ გავიდა და გუნდმა ტელეკომპანია „მაესტრო“ დატოვა.

¹⁴⁷ იხ. ირაკლი კობახიძის ბრიფინგი: <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/85015-tv-pirvelis-zhurnalisti-kobakhidzem-am-brifingith-daadastura-rom-mismeneni>

¹⁴⁸ იხ. ურნალისტ ნატო გოგელიას ფეისბუკ პოსტი:

<https://www.facebook.com/nato.gogelia/posts/10214884607267638> [ბოლო ნახვა: 12/12/2020]

¹⁴⁹ იხ. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ განცხადება: <https://bit.ly/3nEVB5e>

◆ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები

კარტოგრაფიული საქმე

2020 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დღიურის და დემარკაციის სამთავრობო კომისიის ყოფილი წევრები - ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავა. მათ ბრალად საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევისკენ მიმართული ქმედება ედებათ (სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილი)¹⁵⁰.

საქმის ფაქტობრივმა გარემოებებმა, გამოძიების დაწყების დრომ, წინასაარჩევნო კონტექსტში, გამოძიების პროცესში გამოვლენილმა შერჩევითი მიღვომის ნიშნებმა და მმართველი პარტიის ლიდერების მიერ უდანაშაულობის პრეტენზიების დარღვევით გაკეთებულმა პოპულისტურმა განცხადებებმა თავიდანვე გააჩინა საფუძვლიანი ეჭვი გამოძიების პოლიტიკური ნიშით წარმართვისა და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის მცდელობის თაობაზე¹⁵¹.

ამ სისხლის სამართლის საქმეში ადამიანის უფლებათა ცენტრი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, აგრძელებს ნატალია ილიჩოვას ინტერესების დაცვას და, საჭიროების შემთხვევაში, გამოთქვამს მზადყოფნას მისი ინტერესების ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დასაცავად¹⁵².

გირგი შავარაშვილის საქმე

2020 წლის 18 ივნისს მოკლული ახალგაზრდა ფეხბურთელის გიორგი შავარაშვილის საქმემ¹⁵³ კიდევ ერთხელ აჩვენა საგამოძიებო ორგანოთა არაეფექტურობა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით. ამასთან, ამ საქმის გამოძიების ირგვლივ განვითარებული მოვლენები ნათელი მაგალითია იმ პრობელემების, რომლის წინაშეც ქართული საგამოძიებო უწყებები დგანან, ეფექტიანი და ყოველმხრივი გამოძიების ჩატარების კუთხით.

საქმის ირგვლივ არსებულმა კითხვებმა საზოგადოებაში თავიდანვე გააჩინა ეჭვი გამოძიების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლად წარმართვის თაობაზე.

¹⁵⁰ იბ. საქართველოს პროკურატურის განცხადება: <http://pog.gov.ge/news/sagarTvelo-1>

¹⁵¹ იბ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20240&lang=geo>

¹⁵² იბ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20246&lang=geo>

¹⁵³ იბ. დებალურად: <https://www.radiotavisupleba.ge/z/22142>

საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტის ერთ-ერთ განმაპირობებლად წინა წლებში თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოკლული ახალგაზრდების საქმეში¹⁵⁴ არსებული უძინებელი დარღვევებიც შეიძლება ვივარაუდოთ, რამაც სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა მნიშვნელოვნად დააზიანა.

საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატმა საგამონაკლისო დაშვებით, გამოძიების მიმდინარეობის პროცესში შეისწავლა აღნიშნული საქმის მასალები¹⁵⁵. უწყების ცნობით, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არასრულყოფილი იყო. ამასთან, აპარატის მიერ იდენტიფიცირებულია იმ ტიპის სავარაუდო დარღვევები, რომლებიც გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივ შემოწმებას საჭიროებს¹⁵⁶.

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა საქართველოს შს მინისტრსა და გენერალურ პროკურორს წინადადებით მიმართა, რომლითაც საგამოძიებო უწყებებს საქმესთან დაკავშირებული კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებისა და სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისკენ მოუწოდა¹⁵⁷.

თამარ ბაჩალიაშვილის საქმე

ახალგაზრდა პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის საეჭვო გარემოებებში გარდაცვალების საქმის გამოძიება კიდევ ერთი დასტურია ქართული საგამოძიებო უწყებებისადმი საზოგადოების დაბალი ნდობისა და მათი კვალიფიციურობის ნაკლებობის. საქმის ირგვლივ არსებული არაერთი საეჭვო გარემოებისა და საზოგადოებაში არსებული კითხვების გამო, 2020 წლის სექტემბერში საქმეში ადამიანის უფლებათა ცენტრი ჩაერთო¹⁵⁸. საქმის მასალების გაცნობისა და მისი საფუძვლიანი შესწავლის შედეგად, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების მიერ არაერთი ხარვეზი და პასუხგაუცემელი კითხვაა იდენტიფიცირებული¹⁵⁹, რისთვისაც გამოძიებას პასუხი არ გაუცია. შესაბამისად, პროკურატურის ვერსია თვითმკვლელობის შესახებ, რომლის დაცვასაც იგი გამოძიების დაწყების პირველივე დღეებიდან დაშინებით ცდილობდა, კვლავ დაუსაბუთებელია და საჭიროებს დამატებითი, კვალიფიციური მოკლევის ჩატარებას. მიუხედავად ამისა, 2020 წლის 17 დეკემბერს პროკურურამ ოფიციალური განცხადება¹⁶⁰ გაავრცელა და

¹⁵⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალიტიკური დოკუმენტი:

<http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/Khorava%20case-geo-F-c.pdf>

¹⁵⁵ იხ. სახალხო დამცველის განცხადება: <https://bit.ly/38i25AF>

¹⁵⁶ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3nAT2kI>

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20217&lang=geo>

¹⁵⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხები:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20252&lang=geo>

¹⁶⁰ იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება: <http://pog.gov.ge/news/saga-1>

საზოგადოებას ამ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ აცნობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პროკურატურის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ხოლო საქმეზე ჩატარებული სისხლის სამართლის გამოძიება - არასრული და არასრულფასოვანი. გამოძიებამ ვერ გააქარწყლა საზოგადოებაში არსებული ეჭვები.

თემისა გარემონაშვილის საქმე

2020 წლის 25 იანვარს პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე, სისხლის სამართლის გამოძიება შეწყვიტა¹⁶¹. საქმეზე გამოძიება 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მას შემდეგ, რაც 2017 წლის 26 დეკემბერს სოფელ დუისში, მაჩალიკაშვილების ოჯახში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეცოპერაციის დროს ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაიჭრა თემირლან მაჩალიკაშვილი, რომელიც მოგვიანებით თავის არეში მიყენებული ჭრილობისგან გარდაიცვალა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სახელმწიფომ არ შეასრულა მის წინაშე არსებული ვალდებულება - ვერ უზრუნველყო საქმის სრულყოფილი, ობიექტური გამოძიება და არ დაუსჯია დამნაშავე პირები. გამოძიების პროცესში არ გამოკვეთილა სუს-ის იმ თანამდებობის პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებმაც არსებითი შეცდომები დაუშვეს სპეცოპერაციის დაგეგმვისას და განხორციელებისას. არც ერთი პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და თემირლან მაჩალიკაშვილის მშობლებს არ მინიჭებიათ დაბარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი. ამასთან, გამოძიება არ დაწყებულა მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე და სუს-ის მიერ მტკიცებულებების ფალსიფიცირებისა და განადგურების საკითხებზე. მეტიც, მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრები არაერთხელ გახდნენ სახელმწიფოს მხრიდან დევნის მსხვერპლნი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი უერთდება საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციას¹⁶² და მოითხოვს აღნიშნულ საქმეზე გამოძიების განახლებას, საქმის სრულყოფილად შესწავლას, დამნაშავეთა გამოვლენას და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას¹⁶³.

¹⁶¹ იხ. პროკურატურის განცხადება: <http://pog.gov.ge/news/brifingi-Tbilisis-prokuraturashi>

¹⁶² იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით: <https://bit.ly/37wVkvE>

¹⁶³ არასამთავრითო ორგანიზაცია EMC-ის დახმარებით, თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმის განიხილავს აგრძელებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სადაც დაგა სახელმწიფოს მხრიდან ევროპული კონვენციის მქ-2 (სიცოცხლის უფლება), მქ-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) და მქ-13 (უფლება ეფუქტიან სამართლებრივ საშუალებებზე) მუხლების დარღვევაზე

საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგრადირობის შესახებ

2020 წლის 2 ივნისს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ყოველწლიური დიალოგის რიგით მე-13 რაუნდი ვიდეოკონფერენციის საშუალებით გაიმართა¹⁶⁴. ევროკავშირი მიერალმა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მიღწეულ პროგრესს და მხარეებმა ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვისთვის კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი განსაკუთრებული გამოწვევები აღიარეს.

შეხვედრის შემდეგ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში¹⁶⁵, ხაზგასმულია ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ერთგულება რელიგიური აღმსარებლობის, მრნამსის, ეთნიკური წარმომავლობის, რასის, სქესის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შესაძლებლობის ან რაიმე სხვა ნიშნის მიუხედავად.

2020 წლის 8 აპრილს საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიაც“ (Amnesty International) გამოეხმაურა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის მძიმე ფაქტებს. ორგანიზაცია შემფოთებულია სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ სამოქალაქო აქტივისტების - თამარ მეურაყიშვილის და ორინა ქელებსაევას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისამართლებრივი დევნის, ასევე - მედიის წარმომადგენელთა უკანონო დევნის ფაქტების გამო. ამავე განცხადებაში, „საერთაშორისო ამნისტია“ აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციამ, როგორც რეგიონში ფაქტობრივი კონტროლის მქონე სახელმწიფომ, და დე ფაქტო ხელისუფლებამ სრულად უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებთან და აღნიშნულ ტერიტორიაზე დაუშვან საერთაშორისო მონიტორები¹⁶⁶.

მიმდინარეობს.

¹⁶⁴იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://mfa.gov.ge/News/adamianis-uflebebis-dacvis-sakitkhebze-sagartvelo.aspx?CatID=5>

¹⁶⁵იხ. ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი განცხადება:

https://eeas.europa.eu/delegations/georgia/82000/georgia-13th-annual-human-rights-dialogue_en

¹⁶⁶ იხ. „ამნისტია ინტერნებისგანალის“ განცხადება:

https://www.amnesty.org/download/Documents/EUR5621122020ENGLISH.pdf?fbclid=IwAR2_jkDPxY2AcHqls_V2p91OWFVKSKEL6WEDuIRCdFfqD5NhwrFnJ29wYIk

კიდევ ერთი უფლებადაცვითი ორგანიზაციის - Freedom House-ის 2020 წლის პუბლიკაციის („თავისუფლება მსოფლიოში 2020“) თანახმად, სამხრეთ ოსეთი მსოფლიოში კვლავ ერთ-ერთ ყველაზე არათავისუფალ ადგილად რჩება ჩინეთსა და აზერბაიჯანთან ერთად¹⁶⁷. მსოფლიოში თავისუფლების შესახებ „ფრიდომ ჰაუსის“ 2020 წლის ანგარიშით, საქართველო კვლავ ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნებს შორის რჩება. თუმცა, ქვეყნის რეიტინგი, გასულ წელთან შედარებით, 2 ქულით გაუარესდა და 100-დან 61 ქულა მიენიჭა¹⁶⁸.

2020 წლის ოქტომბერში „ფრიდომ ჰაუსმა“ ახალი ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც თავისუფლებისთვის გლობალურ ბრძოლაში „კოვიდ-19“-ის პანდემიის გავლენაზე საუბარი. „დემოკრატია კარანტინში“¹⁶⁹ - ასე ჰქვია კვლევას, რითაც მიმდინარე წლის დასაწყისიდან სექტემბრამდე პერიოდში 192 ქვეყანაში არსებული მდგომარეობაა შესწავლილი. ანგარიშის თანახმად, პანდემიის გავრცელების შემდეგ, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მდგომარეობა 80 ქვეყანაში გაუარესდა. რაც ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, კრიტიკოსების გაჩუმებაში, მნიშვნელოვანი ინსტიტუტების დასუსტებასა ან დახურვაში აისახება. ანგარიშში, საქართველო იმ 111 ქვეყანას შორის ფიგურირებს, სადაც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობა პანდემიის შემდეგ არ შეცვლილა¹⁷⁰.

2020 წლის 10 სექტემბერს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს საინვესტიციო კლიმატის შესახებ 2020 წლის ანგარიში გამოაქვეყნა¹⁷¹. სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველო შეაფასა როგორც „მცირე, მაგრამ ღია ბაზრის“ მქონე ქვეყანა. დოკუმენტში ინვესტორებსა და სახელმწიფოს შორის დავების კონტექსტში ნათევამია, რომ სიტუაციის გაუმჯობესების მიუხედავად, „გვხვდება სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევის ნიშნები“. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ანგარიშშია განხილული, ანაკლიის ღრმაზყლოვანი პორტის პროექტი და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ 2020 წელს კონტრაქტის შეწყვეტაა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ არსებობს სასამართლო დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევის ნიშნები და რომ მოსამართლეები დაუცველნი არიან პოლიტიკური ზენოლისაგან. ანგარიშის მიხედვით, საკუთრების უფლებებზე დავებს სხვადასხვა დროს კითხვის ქვე

¹⁶⁷ იხ. ვრცლად: <https://freedomhouse.org/country/south-ossetia/freedom-world/2020>

¹⁶⁸ იხ. ვრცლად: <https://www.amerikiskhma.com/a/freedom-house-georgia-s-score-declines-by-two-points/5325037.html>

¹⁶⁹ იხ. „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიში - „დემოკრატია კარანტინში“: <https://freedomhouse.org/report/special-report/2020/democracy-under-lockdown>

¹⁷⁰ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2J4d1sU>

¹⁷¹ იხ. სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის ანგარიში, საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე: https://www.state.gov/reports/2020-investment-climate-statements/georgia/?fbclid=IwAR36t4r-vBYVwj-DryMAJIY6ZpoFytWeWDcNJJifGJaqBW5OE2B_-bnSfE

დაუყენებიათ საქართველოს სასამართლოს მიუკერძოებლობა. დოკუმენტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად დაისახა სასამართლოს რეფორმა, პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეები კვლავაც შესაძლოა, ზეწოლის ქვეშ მოექცეს. სახელმწიფო დეპარტამენტი, სამოქალაქო სექტორზე დაყრდნობით ამბობს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დომინირებს რეფორმების მოწინააღმდეგე ჯგუფი, რომელიც პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებში მოსამართლებრივ ზეწოლას მიმართავს.

ორგანიზაციის - „ურნალისტები საზღვრების გარეშე“ 2020 წლის „მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, 2012 წელს საქართველო 104-ე პოზიციას იკავებდა. 2012 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია 44 პოზიციით გაუმჯობესდა და 2020 წელს, გასული წლის მსგავსად, მე-60 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის¹⁷².

საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-მა 2020 წლის ანგარიშში¹⁷³ საქართველოსთან დაკავშირებით ყურადღება რამდენიმე საკითხზე გაამახვილა. მათ შორის, ერთ-ერთი ნაწილი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევაში არასათანადო გამოძიებასა და მათ დაუსჯელობასა ან არასათანადო დასჯას ეხება. ორგანიზაციის შეფასებით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების დაუსჯელობა გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ანგარიშში, ასევე, ყურადღება გამახვილებულია საქართველოში ანტინარკოტიკულ პოლიტიკაზე და ნათქვამია, რომ ნარკოდანაშაული საქართველოში ხშირად ხანგრძლივი პატიმრობით, უზარმაზარი კარიმებითა და უფლებების შეზღუდვით ისჯება.

¹⁷² იხ. საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ 2020 წლის კვლევა: <https://rsf.org/en/ranking>

¹⁷³ იხ. Human Rights Watch-ის ანგარიში: <https://www.hrw.org/world-report/2020/country-chapters/georgia>